№ 2668
პარასკევი,
12 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2668
პარასკევი,
12 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა
76

ფასი ღირს: წლიურა[ო]—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორეში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. ‖ საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. ‖ საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"
ბევრის სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

8 ნოემბერს გარდაიცვალი

კნ. ნინო სარდიონის ასული მაღალაშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი გრიგოლ გრიგოლისძე შვილებით. მიცვალებულს დღეს, 12 ნოემბერს გამოასვენებენ ანჩისხატის ობოროში დილის 11 საათზე წყნეთის ქ., სახლი გაბაშვილისა № 2. და იქიდან სწაასვენებენ სოფელ თელოვანს. (2—372—2)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა ხაიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს,, 12 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „M-lle ფიფი" და „პაიაცები".
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ორელი, საგიტა, ტულლერი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, კამაროვი, ობრაზცოვი, ბაგროვი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი — ფასები დაკლებულია. — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
13 ნოემბ.—„ფენელლა". — გამგე ი. ა. კელლერ

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საქნებისა. ტელეფონი № 679. (0—183)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუდიანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. ძიმონი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობ., სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ლ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქ-ნ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
გ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ვ. მონინი.—ქალისა, საზენით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბ-ნ. ვ. სოლოღაშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთ:
ბ. ვ. სოლოღაშვილი.—ხირურგია და ორტოპედია.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში და შერიგებით მორიგებით. კრავატები დღეში დარს 1½ მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. [illegible] ქუჩიდან-კი 34 B.
(თვ.)
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—5)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათ. (თვ.—5.—29)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული ხენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა. სახლი მესხი-

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ექიმი
ა. ნ. თითრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—8)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყაზარმების ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 ნოემბერი

პეტერბურგი. ოფიციალური. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა სამხედრო მინისტრს: „ხუანშანი, 9 ნოემბერი. იმ ბრძოლების დროს, რომელიც მოხდა 25 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე, ბრძოლის ველიდან მუკდენს გაიგზავნა, ხოლო იქიდან ზევით, დაჭრილი 775 აფიცერი და 27,887 სალდათი და ავადმყოფი 168 აფიცერი და 3,224 სალდათი. ესოდენ დაჭრილთა გასტუმრება ცოტა ხანში მოხერხდა სასანიტარო და სამკურნალო უწყების მოსამსახურეთა მხნეობით და მეცადინეობით. ყველა დაჭრილს შესახვევ ადგილებსა და მოძრავ საავადმყოფოებში ჭრილობები შეუხვიეს, აჭამეს და თბილი ტანისამოსი მისცეს. ბრძოლის ველიდან რკინის გზისა და იმის ფუშუნის შტოს სადგურამდე ავადმყოფებს ჰგზავნიდნენ სასანიტარო ტრანსპორტებით. ეხმარებოდნენ აგრეთვე სურსათის ტრანსპორტები. ამათ ურმებზე თბილი ხალათები და საბნები იყო. დიდი შემწეობა აღმოუჩინეს ჯარის სამკურნალო დაწესებულებას წითელის ჯვრის მწრაფლმა რაზმებმა, საკვებ ადგილებმა და მოძრავ საავადმყოფოებმა. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მოახსენოთ მის იმპერატორებით უდიდებულესობას ჯარის სასანიტარო ნაწილის ასეთ თავგამოდებულ შრომის შესახებ".

მინისტრის დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინს: ხელმწიფე იმპერატორმა უმადლესად კეთილ ინება და ბრძანა, მანჯურიის პირველ არმიის სასანიტარო და სამკურნალო მოსამსახურეებს გამოუცხადოთ ჩემი სიამოვნებაო".

მოსკოვი, 10 ნოემბერი. ვლადივოსტოკიდან მოასვენეს „როსია"-ს კრეისერზე მოკლულის უფროს აფიცრის ბერლინსკის გვამი. გვამს ახლავს მატროსი კორეიბა. როდესაც ბერლინსკი სასიკვდილოდ დაიჭრა, კორეიბას უნდოდა აეყვანა, მაგრამ ამ დროს პალუბაზე დაეცა ყუმბარა, კორეიბამ ხელად სტაცა ხელი ყუმბარას და ზღვაში გადისროლა. კორეიბას გიორგის ჯვარი ებოძა.

მუკდენი, 10 ნოემბერი (საკუთ. კორეს.). პოზიციებზე სიწყნარეა. ჩვენი ჯარი შეუდგა ბარაკებისა და საჯინიბოების გამართვას. როგორც ეტყობა, მოწინაამდეგენი დიდხანს იდგებიან ერთმანეთის პირდაპირ.

ტოკიო, 9 ნოემბერი („რეიტერი"). ამბობენ, თითქმის სამი დივიზია დააყენეს ამასწინად იაპონელებმა კუვშუნიდან კუროკის არმიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ პოზიციებამდისო. ხუნხეზე ყინული სულ უფრო და უფრო მაგრდება.

სან-ფრანცისკო, 9 ნოემბერი („რეიტერი"). დაქირავებულია ინგლისისა და ნორვეგიის გემები, რომლებმაც იაპონიაში უნდა წაიღონ რელსები მანჯურიის რკინის გზის შესაკეთებლად. დაქირავებულია აგრეთვე გემი იაპონიაში ვაგონებისა და ორთქლ-მავლების გადასაზიდად.

11 ნოემბერი

ლონდონი, 10 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონიის მისსიამ დეპეშა მიიღო ტოკიოდან: პორტ-არტურის საალყო არმიიდან იუწყებიან, რომ იაპონელთა საზღვაო ზარბაზნებით თოფხანის ახლოსაო. საღამოს ცხრა-ნახევარ საათამდის ცეცხლი არ ჩამქრალა.

ტოკიო, 10 ნოემბერი („რეიტერი"). დღეს იოკოჰამაში ხუთი წყალ-ქვეშ მავალი ნავი მოიტანეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

10 ნოემბერი.

ადესა, 10 ნოემბერი. მანჯურიის მესამე არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი ბარონი კაულბარსი 14 ნოემბერს წავა ადესიდან. მასთან ერთად მესამე არმიის შტაბიც მიდის.

ნიკოლაევი, 10 ნოემბერი. ნიკოლაევის საადმირალოში ნავთ-სადგურის უფროსისა და მოხელეების დასწრებით შეუდგნენ საესკადრო ჯავშნიან გემის „სვიატოი ევსტაფი"-ს აგებას. გემს ექნება სიგრძე—387,3 ფუტი, სიგანე—94 ფუტი, წყალწყვა—12,846 ტონნა; მანქანას 10. 600 საინდიკატორო ძალა აქვს, სიჩქარე—16 მილი საათში. ჯავშნიან გემს ინჟინერი შოტტი აშენებს.

პეტერბურგი, 10 ნოემბერი. გრაფის სტროგანოვის მიერ შეწირული გემი კრეისერად ჩაირიცხა ფლოტში და დაერქვა „რუს"-ი.

ბერლინი, 10 ნოემბერი. „ლოკალ ანცაიგერ"-ს სწერენ სტამბოლიდან, რომ იქ გუშინ მივიდა რუსის ახალი სამხედრო გემი „კუბანეც"-ი. საფუძველს მოკლებულია ხმები, ვითომ პერაში რუსის სამხედრო გემები მისულიყვნენ, რომლენიც შემდეგ სამხრეთისაკენ უნდა გამგზავრებულიყვნენო.

დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ამ ჟამად მეტად ძნელი გამოსაცნობია, თუ რას აპირობენ გენ. კუროპატკინი და მარშალი ოიამა. ჯერ არც ერთმა არ გამოაშკარავა თავისი პლანი. იქნება მარშალი ოიამა პორტ-არტურის აღებასა და გენ. ნოგის არმიის მოსვლას ელოდეს. გინდ პორტ-არტურიც აიღონ, იქნება მარშალმა ოიამამ გაზაფხულამდე მაინც არ მიიტანოს იერიში რუსებზე. ეტყობა, მარშალ ოიამას საშური არა აქვსრა. გენ. კუროპატკინს-კი ბევრი რამ აქვს საშური. რუსის სარდალმა უსათუოდ ეცდება, სანამ პორტ-არტური დაეცემა, უნდა მიიტანოს იერიში იაპონელებზე და პორტ-არტურისაკენ გზა გაიკაფოს. გენ. კუროპატკინი, ალბად, მაშველ ჯარის მოსვლას ელის და როცა იაპონელებზე მეტი ჯარი ეყოლება, მაშინ უსათუოდ მედგარ იერიშს მიიტანს მარშალ ოიამას არმიაზე. („პ. ვ.").

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს"-სა: ცნობა მოვიდა, ხუნხუზების წინამძღოლის ტულუსანის რაზმი, რიცხვით 3 ათას კაცამდე, რკინის გზის მოსაჭრელად მიდის და ამ ჟამად ტელინიდან 80 ვერსზე იმყოფება, რკინის გზის დასავლეთითაო.

ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ღამ-ღამე საშინლად ცივა. შეშა ხარბინშიაც-კი არ იშოვება, საჟენი შეშა 120 მანეთზე ნაკლებ არსად იყიდება. თუმცა ქალაქს ახლო დიდ-ძალი შეშა აწყვია, მაგრამ რკინის გზა პლატფორმებს არ იძლევა შეშის გადმოსატანადაო. („რ. ს.").

პრიამურის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსმა შემდეგი ბრძანება გასცა: გავიგე, როცა საავადმყოფოებიდან მორჩენილ სალდათებს არმიაში ისტუმრებენ, შესაფერისს ტანისამოსს არ აცმევენ. ამიტომ მიბრძანებია, რომ ყველა სალდათს არმიაში გასტუმრების დროს რიგზე ჩააცვან და რაც კი საჭიროა, ყველაფერი ჩააბარონ. („რ. ვ.").

ინგლისელ მოღვაწეს სერ ტომას ბერკლეის უთქვამს „სენ-ჯემს გაზეტ"-ის წარმომადგენლისათვის: „სარწმუნოდ გავიგე, რომ ლორდი ლანსდოუნი და საფრანგეთის ელჩი კამბონი პირველისავე მარჯვე შემთხვევით ისარგებლებენ და რუსეთსა და იაპონიას შერიგებას ურჩევენ. მე მგონია, რომ შუამავლობის გაწევა მხოლოდ პორტ-არტურის აღებამდე შეიძლება. თუ მორიგება არ მოხდა და იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, ომი რამდენსამე წელიწადს გასტანს კიდევ. დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება და მხოლოდ ერთად-ერთი წამალი ვიცი ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად: ინგლისმა და საფრანგეთმა შუამავლობა უნდა იკისრონ და რუსეთი და იაპონია მოარიგონ.") („ბ. ვ.").

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „იაპონიის ჯარს, როგორც ვიცით, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის ნაპირებიდან მოსდის სამხედრო და საკვები სუ-

ვებიდან. ზამთარში ეს შესართავები იყინება, ამიტომ ბევრნი ჰფიქრობენ, იაპონელები ზამთრის დროს ინკოუდანა (მდ. ლიაოხეზე) და ანდუნიდან (მდ. იალუზე) აღარ მიზიდვენ სურსათსაო; ყველაფერს, რაც ჯარისათვის საჭიროა, კორეაში გადაიტანენ და მერე იქიდან ხმელეთით გაჰგზავნიან მანჯურიაშიო. სეულ-იჩუს რკინის გზა რომ მზად იყოს, რასაკვირველია, იაპონელები ასე მოიქცეოდნენ, მაგრამ ჯერ ეს გზა მზად არაა და ამიტ ომ არ გვგონია, რომ იაპონელებმა ზღვაზე ხელი აიღონ და ყველაფერი ხმელეთით ზიდონ კორეის უვარგის შარა გზებზე. უფრო ჭკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ იაპონელები ლიაოხესა და იალუს შესართავებში ყინულის მჭრელ გემებს ამუშავებენ და სურსათს წინანდებურად ინკოუსა და ანდუნში ზღვით მიჰზიდვენ. ამას გარდა ზამთარში ინკოუ-დაშიჩაო-ლიაოიანის რკინის გზასაც გამოიყენებენ სურსათის საზიდად, მით უმეტეს, რომ ამ რკინის გზის ახლო-მახლო ბევრი საკვები სურსათი იშოვება."

ზოგი ამბობს, იაპონიას მალე ფული შემოაკლდება და ბრძოლას ველარ შეიძლებსო. ამის თაობაზე იგივე სამხედრო მიმომხილველი სწერს: „რასაკვირველია, ომი დიდ ზარალს აძლევს სახელმწიფოს ფინანსებს და იმის ეკონომიურ კეთილდღეობას; შესაძლებელია აგრეთვე, რომ ერთმა სახელმწიფომ უფრო ადვილად აიტანოს ეს ზარალი, ვიდრე მეორემ, მაგრამ ფულის უქონლობით ომზე ხელი ჯერ არც ერთ სახელმწიფოს არ აუღია. ფულის უქონლობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ომამდე. უქონელი სახელმწიფო ძნელად გაჰბედავს ომსა და ბევრ რასმეს დაუთმობს მოპირდაპირეს, მაგრამ რაკი ომი დაიწყო, უფულობა და გაჭირვება ვერც ერთ მხარეს ვერ შეაყენებს: სახელმწიფო არა მსხვერპლს არ ერიდება, ფულსა შოვობს და ომს ბოლომდე განაგრძობს. ყოველთვის გამოჩნდებიან მსურველნი და მეომარ სახელმწიფოს ფულს ასესხებენ, რაღა თქმა უნდა, რიგიანის სარგებლით. ომის შემდეგ ბალხს, რასაკვირველია, გაჭირვება დაადგება, მაგრამ უფულობით არც ერთი სახელმწიფო ბრძოლაზე ხელს არ აიღებს".

გაზ. „ბორზენ კურიერ"-ი იუწყება: ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების გემმა „დელგრავია"-მ 5 ნოემბერს ორი წყალ-ქვეშ მავალი ნავი მოიტანა ამერიკიდანაო. გაზეთი ამტკიცებს, ეს ნავები მაშინვე რკინის გზით რუსეთში გაგზავნესო. („რ.").

ბრძოლა მდ. შახეზე. 26 სექტემბერს—4 ოქტომბერს. „ინდეპანდანს ბელჟ"-ი სწერს: რუსებს მდ. შახეზე ბრძოლის დროს 4,086 სალდათი მოუკლეს, 23,542 დაუჭრეს, 313 გაუკაწრეს, 5327 დაეკარგათ, სულ 33,268 სალდათი დააკლდათ; 188 აფიცერი მოუკლეს, 700 დაუჭრეს, 68 გაუკაწრეს, 39 დაეკარგათ, სულ 995 აფიცერი დააკლდათ. ზოგის ანგარიშით რუსებს მდ. შახეზე გაცილებით მეტი ჯარი დააკლდათ. („რ. ვ.").

დიდ-თაკეანეს მეორე ესკადრა. გაზ. „ტან"-ი სწერს: ბალტიის ესკადრის პირველი რაზმი აფრიკის გარშემო წავიდა და პორტ-არტურამდე 17,200 მილი უნდა გაიაროს. სუეცის არხით რომ წასულიყო, 4 ათას მილით ნაკლები ექნებოდა გასავლელი, მაგრამ ამ რაზმს არ ეშინიან ასეთის გძელის გზისა, რადგან ჯავშნიანი გემები „სუვოროვ",-ი „ალექსანდრ III", „ბოროდინო" და „ორიოლ"-ი ახალი გემებია და 7—8 ათას მილის გავლა შეუძლიათ გაუჩერებლივ. ეს შორი გზა იმიტომ აირჩიეს, რომ ესკადრას ბრძოლის რიგზე წასვლა შეეძლოს შორეულ-აღმოსავლეთამდე. ამას გარდა, ადმ. როჟესტვენსკი ძლიერ ერიდება ისეთ ვიწრო გასავლებსა, სრუტეებსა და ზღვებს, როგორიცაა სუეცის არხი და მეწამული ზღვა. („ნ.").

რუსის ესკადრას დაკარს ახლო (დასავლეთ აფრიკის ნაპირას) გემი „მანჟური" და „ესპერანსა" ელოდებოდნენ. „მანჟური"-ს ქვანახშირი ედო, „ესპერანსა"-ს 3 ათასი ტონა (1 ტონა—64 ფუთია) ხორცი. („რ.").

პორტ-არტური. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან: „რასტოროპნი"-მ მეტად გასახარი ცნობები გამოუგზავნა რუსეთის მთავრობას. გენ. სტესელი თავის დაწვრილებით მოხსენებაში იმედოვნებს, ციხე ბალტიის ესკადრის ფლოტის მოსვლამდე გასძლებს, თუ ყუმბარები გვეყოლა. სამხედრო სურსათის მოსატანად ყოველნაირი ღონისძიება მიიღეთ. პორტ-არტურის ესკადრა საკმაოდ ჯარა ყოფაშია. „სევასტოპოლ"-ის შეკითება

მაშინები მტრის ყუმბარისა[illegible] მაგრამ მალე შეაკეთებენო. („ნ. [illegible]).

„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. ნოგის არმიის მთავარ-სადგომიდან: გენ. სტესელი ბრძოლის დროს დაიჭრა და იძულებული იყო საავადმყოფოში დაწოლილიყო, მაგრამ ციხეს მაინც ისევ თითონ უფროსობს. სტესელმა უბრძანა მეციხოვნე ჯარს, პოზიციებზე დაიხოცენით და მტერს ნუ დაჰმორჩილდებითო. („რ.“).

იგივე კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, რუსის ჯარი პორტ-არტურში ძლიერ იტანჯება უსაჭმლობითაო. („ნ. დ.“).

„რეიტერის სააგენტო“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: ხმა დადის, გენ. სტესელი დეპეშით შეეკითხა რუსეთის მთავრობას, ბოლომდე გავმაგრდე, თუ კარგის საპატიო პირობით ციხე ჩავაბარო იაპონელებსაო. ეს დეპეშა „რასტოროპნი“-მ მოიტანა ჩიფუშიო. („ნ. დ.“).

როგორც ჰხედავთ, კორესპონდენტები მეტად არეულ ცნობებს ჰგზავნიან პორტ-არტურზე.

ჩიფუდან ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: 27 ოქტომბერს იაპონელებმა მედგარის ბრძოლის შემდეგ ლიაოძუშანის ფორტის გარე სიმაგრეები აიღეს; თითონ ფორტი-კი მაგრად დგას; ფორტს ჯავშანი აქვს გადაკრული და ყველა მისავალში ნაღმებია ჩაწყობილიო.

იმავე გაზეთებს ატყობინებენ, იაპონელებმა კიკვანშანის ფორტის წინ თხრილი დაიჭირეს; რუსებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს იაპონელებზე, მაგრამ თხრილი მაინც ვერ დაიბრუნეს. იაპონელებს ერლუნგშანისაკენ სანაღმე გვირაბი გაჰყავთ; ქვიანი ადგილია და ნელა მუშაობენ. („ნ. დ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ნაღმიანი გემი „რასტოროპნი“ 330 ათასი მანეთი ღირდაო, იმისი ზარბაზნები, იარაღი და ქონებაც ნაკლები არ ეღირებოდა, ასე რომ „რასტოროპნი“ სულ მილიონი მანეთი ეღირებოდაო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: გენ. სტესელის უკანასკნელმა დეპეშებმა ახალი ცნობა არა მოგვიტანეს-რა პორტ-არტურზე. ახალ დეპეშებიდან სჩანს, რომ 21 ოქტომბრამდე რუსებს იაპონელების ყველა შტურმი მოუგერებიათ და ციხე ჯერ მაგრადა დგას. გენ. სტესელი არას სწერს, იაპონელებმა ამ შტურმის დროს ახალი პოზიციები ხომ არ დაიჭირეს, ან მნიშვნელოვანი სიმაგრე ხომ არსად დაანგრიეს. ამ დეპეშებში მხოლოდ ერთი ცნობაა საყურადღებო: 13 ოქტომბერს პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს 480 კაცი დაჰკლებია მოკლული და დაჭრილი, ამათგან 9 აფიცერია. როგორც გენ. ნოგი იუწყებოდა, 13 ოქტომბერს იაპონელებმა პალიჩუანის სამხრეთი ნაწილი აიღეს და ერლუნგშანისა და სანშუშანის წინ სანგრები დაიჭირეს. რაღა თქმა უნდა, რუსის მეციხოვნე ჯარს რომ ყოველ დღე 500 კაცი დააკლდეს, ეს დიდი ზარალი იქნებოდა, მაგრამ გენ. სტესელის დეპეშიდან სჩანს, რომ ყოველ დღე შტურმი როდი ყოფილა. 14-დან 16 ოქტომბრამდე მხოლოდ გაძლიერებული ზარბაზნის სროლა ყოფილა; გენ. ნოგიც ამასვე იუწყებოდა. ციხის ჩრდილოეთ ფორტებზე შტურმი მხოლოდ 17 ოქტომბერს მიუტანიათ იაპონელებს, კიკვანშანთან ერთი მეორე ხარისხოვანი ფორტი და ერლუნგშანისა და სუნშუშანის კონტრ-ესკარპები (ფორტის ნაპირა გალავნები) აუღიათ. აღებულ ფორტში რუსებს 40 მოკლული კაცი დაუტოვებიათ; აქედან სჩანს, რომ რუსებს 17 ოქტომბერსაც დახლოვებით იმდენივე ზარალი მოჰსვლიათ, რამდენიც 13 ოქტომბერს მოუვიდათ. მესამე შტურმი იაპონელებმა, ალბად, 20, ან 21 ოქტომბერს მიიტანეს, მაგრამ გენ. ნოგის მოხსენება ამ მესამე შტურმზე ხმას არ იღებს. ჩვენის აზრით, 13 ოქტომბრიდან 21-მდე რუსებს სულ ბევრი 2 ათას კაცამდე დააკლდებოდათ. სევასტოპოლის შტურმის დროს რუსებს გაცილებით მეტი ზარალი მოსდიოდათ; მაშინ ყოველ დღე 500—1000 კაცი აკლდებოდათ. მართალია ეხლანდელი არტილერია გაცილებით ძლიერია მაშინდელზე, მაგრამ ეხლანდელი სანგრებიც შეუდარებლად უმჯობესია მაშინდელზე...

თუ ინგლისელ კორესპონდენტებს დავუჯერებთ, რუსის მეციხოვნე ჯარს პორტ-არტურში 13-დან 21 ოქტომბრამდე გაცილებით მეტი ზარალი მოჰსვლია, ვიდრე „რუსკია ვედომოსტი“-ს მიმომხილველი ანგარიშობს.

ახალი ამბავი

◆ მთავრობას, როგორც „რუსკ. ვედ.“ გადმოგვცემს, განუზრახავს დაბალ სწავლა-განათლების რეფორმა. ამისთვის საერო განათლების სამინისტროს უკვე შეუმუშავებია პროექტი. ახალმა სკოლებმა უნდა დააკმაყოფილონ მოთხოვნილებანი მთელის რუსეთისა, წოდების, სარწმუნოების და ეროვნების განურჩევლად. სკოლები სამი ჯურისა იქნება: ერთ-კლასიანი, ორ-კლასიანი და ოთხ-კლასიანი. სკოლებს შეინახავს ხაზინა, მაგრამ შეიძლება სკოლების დაარსება აგრეთვე საზოგადოებებისა და წოდებების თანხებით, სამრეწველოების და კერძო კაცთა ხარჯზედაც კი. ერთკლასიან სკოლებში სწავლა-დამთავრებულთ მიენიჭებათ მესამე ხარისხის შეღავათი, ორ-კლასიანისაში—მეორე ხარისხის შეღავათი და მეოთხე კლასიანისაში—მეორე ხარისხის „ვოლნოოპრედელიაიუშჩის“ უფლებანი. ვინც ერთ კლასიან სკოლას გაათავებს, იმათ შეეძლებათ სახელოსნო სკოლებში შესვლა, ვინც ოთხკლასიანს—საშუალო სატეხნიკო სკოლებსა და საოსტატო ინსტიტუტებში. ამ უკანასკნელთ შეეძლებათ შესვლა აგრეთვე გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის მე-4 კლასში, მხოლოდ დამატებით ეგზამენი უნდა დაიჭირონ ორ საგანსა და ორ ახალ ენაში. მასწავლებელთა მოსამზადებლად ბევრ ქალაქში საქალაქო სკოლებთან დაარსდება განსაკუთრებული საპედაგოგიო კურსები. სულ ასეთი კურსები 50 ადგილას მოეწყობა.

◆ 10 ნოემბერს ტფილისის საგუბერნიო სასამართლოში გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებისათვის საავადმყოფოს დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრების დაესწრნენ: ვიცე-გუბერნატორი, პროკურორი, უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი, პოლიცმეისტერი და გუბერნიის ინჟინრის მოადგილე. გუბერნატორმა აუხსნა დამსწრეთ, რომ, თანახმად საფაბრიკო წესდებისა, მექარხნეებმა და მეფაბრიკეებმა ტფილისში თავიანთ ხარჯით უნდა დააარსონ თავიანთ მუშებისათვის საერთო საავადმყოფო. ფაბრიკების ინსპექტორის ანგარიშით, ქარხნების რიცხვი ტფილისში 62-ია, და ამ ქარხნებში მომუშავეთა რიცხვი 4500-ია. რადგან კანონით ყოველ 100 მუშისათვის საჭიროა ერთი ადგილი საავადმყოფოში, ამისათვის ახალი საავადმყოფო უნდა მოეწყოს 45—50 კაცისათვის. ამისთანა საავადმყოფოს ასაშენებლად საჭიროა 25,000 მანეთი. თუ ქალაქის გამგეობა უფასოდ დაუთმობს ადგილს და ავადმყოფთა შესანახად და მოსავლელად-კი წელიწადში 15,000 მან., ასე რომ, გარდა ერთბაშად გადასახადისა საავადმყოფოს ასაგებად, ყოველ წლივ მექარხნეს გადახდება დახლოებით 3 მან. 50 კ. ყოველ მუშაზე. კრებამ არა დაადგინა-რა და საქმის გადაწყვეტა გადაიდო 19 ნოემბრისათვის. დამსწრეთ აირჩიეს ბ-ნნი ბახმეტიევი, გ. ადელხანოვი, ს. მუხარინსკი, ვ. ეგიაზაროვი, ა. ჯაბადარი, გ. სტეფანოვი, გრიმანისი, ფრიდონოვი და დაავალეს ამ საგნის განხილვა და გამორკვევა როგორც საავადმყოფოს ტიპისა, ისე ორგანიზაციისა და ხარჯისა. არჩეულთა კრება დაინიშნა 16 ნოემბრისათვის.

◆ ტფილისში 8 ნოემბრამდე ხოლერით ავად გახდა ორი კაცი. ორივე მოკვდა. ამას გარდა რკინის გზის საავადმყოფოში 8 ნოემბრამდე იყო სამი კაცი, ერთი მორჩა და ორი მოკვდა. 9 ნოემბერს, ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად. ბაქოში 8 ნოემბერს ავად გახდა სამი კაცი და სამივე მოკვდა. ყარში ამავე დღეს ერთი მოკვდა ხოლერისაგან. ყველაზე ძლიერად ხოლერა მძვინვარებს ერევნის გუბერნიაში. 31 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე ნახიჩევნის მაზრაში ავად გახდა 100 კაცი, მოკვდა—85, მორჩა—15; რკინის გზის მუშა ავად გახდა—20 კაცი, მოკვდა—13, მორჩა—13; შარურო—დარალაგეზის მაზრაში: ავად გახდა—290, მოკვდა—193, მორჩა—18, ერევნის მაზრაში: ავად გახდა 139, მოკვდა—68, მორჩა—20; ქალაქ ერევანში ავად გახდა 8, მოკვდა 5; ეჩმიაძინის მაზრაში ავად გახდა—1; ახალ-ბაიაზეთის მაზრაში: ავად გახდა 3, მოკვდა—2. ამრიგად, ერთის კვირის განმავლობაში მარტო ერევნის გუბერნიაში, როგორც ოფიციალურ გაზეთში მოთავსებულ ცნობებიდანა სჩანს, ავად გამხდარა 561 კაცი, მომკვდარა 361 და მორჩენილა 61 კაცი.

◆ როგორც გავიგეთ, ძმათა ზუბალაშვილებმა კვლავ გაიღეს ფული შემდეგ დაწესებულებათა სასარგებლოდ: „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას“—ხუთასი თუმანი, ყაზბეგის ქალთა სკოლას ტფილისში—ორმოცდა ათი თუმანი, ქართველ ქალთა სკოლა-სამკერვალოს—ორმოცდა ათი თუმანი და „ჯეჯილის“ რედაქციას—ორმოცდა ათი თუმანი.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა, ქალაქის მდივნის, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორისა და საბჭოს ხ[illegible] ა. [illegible]იქელაძისა, თავ. გ. [illegible]ქძანოვისა, ა. ი. ხატისოვისა და სხვათაგან შემდგარმა დეპუტაციამ მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით ქალაქის სახელით მადლობა გამოუცხადა ძმათა ზუბალაშვილებს ბავშვთა საავადმყოფოს დასაარსებლად ფულის შეწირვისთვის.

◆ როგორც გვატყობინებენ, ჩვენი მგოსანი ქალი ქნ. ნინო ორბელიანისა ავად გამხდარა.

◆ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ განყოფილებამ, რომელიც რუს გლეხთა გადასახლების საქმეს განაგებს, გადასწყვიტა, სულ სხვანაირად მოაწყოს კავკასიაში რუსის გლეხთა გადმოსახლების საქმე.

◆ მთელ ნაძალადევში და ლოტკას მთაზე, როგორც ვიცით, ადგილები იჯარით არის გაცემული. ბევრმა ღარიბმა იჯახმა მოაწყო იჯარით აღებულ ადგილზე სახლ-კარი. რადგან იჯარის ვადის გათავების შემდეგ შესაძლებელია ქალაქმა ეხლანდელ მოიჯარადრეებ ადგილი აღარ დაუთმოს, ამიტომ ამას წინად მოიჯარადრეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ნება მიეცეთ მცხოვრებთ შეისყიდონ ადგილები. კარგა ხანია ეს საკითხი აღიძრა, მაგრამ ქალაქს დღემდე არ განუხილავს. ეხლა გუბერნატორი ეკითხება ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ, რა მდგომარეობაშია ნაძალადეველთა შუამდგომლობაო? ეს შუამდგომლობა გადაცემული ჰქონია განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც შეუძლებლად უცვნია ნაძალადეველთა თხოვნის შეწყნარება. შეიძლება ეხლა მაინც დაიძრას შუამდგომლობა ერთი ადგილიდან და წარედგინოს საბჭოს, რომელიც, იმედია, თანაგრძნობით მოეკიდება ნაძალადეველთა თხოვნას.

◆ 10 და 11 ნოემბერს გუბერნატორის მიერ დანიშნულმა კომისიამ დაათვალიერა ტრამვაის ელექტრონის სადგური და იმისი მოწყობილებანი. ამ კომისიის მოხსენების თანახმად, გუბერნატორმა ნება დართო უსახელო საზოგადოებას, სადოვოი ქუჩაზე დროებით ელექტრონით ამოძრაოს ვაგონები.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს, ხუთ საათზე საცდელად გამოუშვეს ელექტრონის ტრამვაი. ტრამვაის პარკიდან ვაგონი წამოვიდა ვაგზლისაკენ, აქედან ჩამოვიდა სადოვოი ქუჩაზე და მიხეილის პროსპექტის ნაწილზე გაიარა. რამდენჯერმე წინა და უკან გაატარეს ვაგონები სადოვოი ქუჩაზე. ახალი ვაგონები მშვენიერია და, როგორც სჩანს, მოძრაობაც მალე დაიწყება.

◆ დუშეთის სამაზრო-სამხედრო ბეგარის საკრებულოს უკვე დაუმთავრებია კენჭის ყრა დუშეთსა, ახალგორსა და ფასანაურში. მთელ მაზრიდან 302 კაცი გაუყვანიათ ჯარში, ყველანი ექიმებს ჯანმთელად უცვნიათ და 6 ნოემბერს სამაზრო სამხედრო უფროსისათვის გადაუციათ. 15 ნოემბერს ახლად გაწვეულნი გაიგზავნებიან ჯარში სხვა-და-სხვა ადგილას.

◆ როგორც ადმინისტრაციის ცნობებიდანა სჩანს, დუშეთის მაზრაში წელს პურისა და ღვინის მოსავალი ძლიერ ცუდი ყოფილა.

◆ დუშეთის მაზრის უფროსმა ამ ერთის წლის წინად შუამდგომლობა აღძრა სადგურ წილკნის ზევით, სოფ. აბანოს ხევთან, არაგვზე ხიდის გადების შესახებ. დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობამ და გლეხობამ აღუთქვა ქვისა და ხის მასალა. ხაზინამ გადასდო 3000 მანეთი. ხიდი უკვე დაუმთავრებიათ და ქვეითად დაიარებიან კიდეც. სიგრძე ხიდს 50 საჟენი აქვს, სიგანე 2 საჟენი. ეტლების მიმოსვლაც მალე დაიწყება. ამავე ხიდზე უნდა გაიაროს თიანეთის ახალმა გზამ.

◆ 21 ნოემბერს პეტერბურგში იდღესასწაულებენ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარის პროფ. ი. ა. სტებუტის 50 წლის იუბილეს. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ იუბილეზე დასწრება და საზოგადოების მხრივ მილოცვა მიანდო თავ. წევრს ქ. ვერმიშევს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია.

◆ ქუთაისის გუბერნიის სოფელ ქედის 2 კლასიან სასწავლებლის ზედამხედველმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, შეგვატყობინეთ საკვებ ბალახების თესლი თუ გაქვთ გასასყიდი, ან თუ გაქნებათ, რა ეღირებაო. ზედამხედველს უნდა ბალახების თესლი მისწოდოს ქვემო აჭარის მცხოვრებთ.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, გუბერნატორმა დაავალა ტფილისის ქალაქის გამგეობას შეეკეთებინა „კრუჟოკ“-ის სათეატრო დარბაზი. გუშინ მოურავის მოადგილის მეთაურობით ქალაქის გამგეობამ ადგილობრივ დაათვალიერა „კრუჟოკის“ სადგომი და საჭიროდ სცნო შეკეთება.

◆ გუშინ გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, შემატყობინეთ, რა მდგომარეობაშია ქალაქის საბჭოს 1900 წლის 12 მაისის დადგენილება რიყის ქუჩის და დესიმონოვის მოედანთან კედლის ამოყვანის შესახებ და გამგეობამ რა გააკეთა დადგენილების განსახორციელებლადაო?

◆ სოფ. ქოდალში (სიღნაღის მაზრა) 8 ნოემბერს ღამე ადგილობრივ მღვდელს დავით ნაცვლიშვილს თავს დასხმიან და გაქურდვა სდომებიათ. მღვდელს ყვირილი დაუწყია. ეკლესიის ყარაულს, გიორგი ზურაშვილს, ამ ყვირილზე გამოღვიძებია და მიშველებია. ამ დროს ერთ ბოროტ-მოქმედს რევოლვერი უსროლია ყარაულისათვის, ყბაში დაუჭრია და დამალულა.

◆ როგორც ლაგოდეხიდან გვატყობინებენ, 8 ნოემბერს დილით სოფ. მიხაილოვკასთან თავს დაეცა 4 შეიარაღებული ლეკი სიღნაღში ეტლით მიმავალ სერგეი სიმონოვს, სიღნაღელ მკვიდრს, გარეგინ მალიანცს, ლაგოდეხელს მკვიდრს და გიგა ზადელიშვილს, სოფ. ჯუგაანის მკვიდრს. ბოროტ-მოქმედებმა წაართვეს სიმონოვს ფულად 230 მ. 70 კ. ოქროს საათი და ამერიკის სისტემის რევოლვერი; მალიანცს—პალტო და ფულად 200 მანათი, ხოლო ზადელაშვილს ფულად 70 მანათი, ვერცხლის მასრები და ხანჯალი. ამ ოთხი ბოროტ-პირიდან ორის პიროვნება უკვე გამოირკვა: ერთი აღმოჩნდა სოფ. ბელაქანის (ზაქათალის ოლქი) მცხოვრები მაგომედი, ხოლო მეორე სიმონოვი, დემიდოვის ტყის წინანდელი მცველი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. გუშინ, 11 ნოემბერს, მოხდა არჩევანი ქალაქის გამგეობის ერთის წევრისა. არჩეულ იქნა ისევ ძველი წევრი—გრიგორ ივანეს ძე გველესიანი, რომელსაც ამოუვიდა 21 თეთრი და 11 შავი კენჭი.

ფელეტონი

ესპანელი რომანისტი

(ვუძღვნი ჩვენ მთარგმნელებს)

ყველა მკითხველი დამეთანხმება, რომ მთარგმნელები ცოტა არა გვყავს, როგორი მთარგმნელები არიან, ამის გარჩევაში აქ არ შევალ, მაგრამ არ შემიძლია ერთ გარემოებას არ მივაქციოთ ყურადღება: თითქმის ყველა რუსულიდან სთარგმნის და ისიც ორ-სამ ავტორს. რუსეთის სიტყვა-კაზმული ლიტერატურა მდიდარია და ბევრ შესანიშნავ ნაწარმოებს შეიცავს, მაგრამ არსებობენ სხვა ლიტერატურანიც, რომელნიც კიდევ უფრო მდიდრები არიან ნიჭიერ მწერლებით. ჩვენ აქ სახეში გვყავს არა მარტო საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და გერმანიის ლიტერატურები, რომელთა უპირატესობა რუსულთან შედარებით ყველასათვის ეჭვს გარეშეა. არა, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ისეთ ლიტერატურებზე, რომელიც სრულიად უცნობია ქართველ მთარგმნელისა და მკითხველისათვის და რომელიც თავის შინაარსით იპყრობს ყურადღებას მთელ განათლებულ კაცობრიობისას.

რომელი ქართველი იცნობს ჰუნგრეთის ლიტერატურას? რა გვაქვს ნათარგმნი პოლონურიდან გარდა სენკევიჩის ზოგ ნაწერებისა, რომელიც რუსულ ჟურნალებიდან გვითარგმნია? ვის წაუკითხავს რომელიმე ნაწარმოები ესპანურ ლიტერატურისა? სამწუხაროდ, არავის და ამითი ძალიან ბევრი დავკარგეთ, არა მარტო იმიტომ, რომ ვერ გავეცანით მთელ წყებას შესანიშნავ ნაწერებისას, არამედ იმიტომ, რომ ხსენებული ლიტერატურები უფრო მეტს ეტყოდნენ ჩვენს გრძნობასა და გონებას, ვიდრე რუსული, რომელზედაც ბავშვობიდან ვიზრდებით.

ჰუნგრეთის ისტორიული ბედი, მისი თავგამოდებული ბრძოლა ოსმალთა და გერმანელთა წინაღმდეგ, მისი სოციალური წესწყობილება ბევრად უფრო ადვილი მისახვედრი და გასაგებია ჩვენის მკითხველისათვის, ვიდრე რუსული, და როცა მაიურს იოკაის რომანებსა და მოთხრობებს ჰკითხულობ, ნაცნობ და ნათესავ სურათებს ხედები და ხშირად შენ სახლში გგონია თავი.

ეგევე ითქმის პოლონელებზედ, ჩეხებზედ და ამათ ლიტერატურაზე.

ესპანიაც ჩვენი ნათესავია თავის გახრწნილ თავად-აზნაურობითა და პროვინციალურ მრავალფეროვნებით. ესპანური ზნე-ჩვეულების რომანი და, განსაკუთრებით, დრამა-კომედიები დიდი ჭკუის მასწავლებელი იქნებოდა ჩვენის საზოგადოებისა და მწერლობისათვის.

ამიტომ ჩვენი მთარგმნელები უფრო დიდ სამსახურს გაუწევდნენ სამშობლო ლიტერატურასა და საზოგადოებას, რომ გორკისა და ჩეხოვის მაგიერ ხსენებულ ლიტერატურათა თხზულებებს გადმოგვითარგმნიდნენ.

იტყვიან, ენა არ ვიცითო, მაგრამ ვისაც სურვილი აქვს ღვაწლი დასდოს თავის ქვეყანას, ენის შესწავლის სიძნელეს არ გაუჩერდება, მით უფრო რომ ეს სიძნელე უფრო წარმოდგენილია, ვიდრე ნამდვილი. პატარა სისტემატიური შრომა და ენაც მოკლე დროში ეცოდინება მსურველს, განსაკუთრებით ისეთი ადვილი, როგორიც პოლონური და ჩეხური რუსულის მცოდნესთვის ან ესპანური ლათინურის ან ფრანგულის მცოდნესათვის. მართალია, ჩვენ ძალიან გვიყვარს უშრომლად, ხელის გაუნძრევლად გავხდეთ მოღვაწეებად და მწერლებად, მაგრამ ერთხელაც ხომ ბოლო უნდა მოეღოს ამ ნაკლს, რომელიც ჩვენი კულტურობის, განუთლებლობის უტყუარი ნიშანია.

—

თუ რამდენად საინტერესოა ესპანური ლიტერატურა თვით ევროპის დაწინაურებულ საზოგადოებისათვის, სჩანს პროფესორ შეპელევიჩის წერილიდან, რომელიც „ვესტნიკ ევროპი“-ს სექტემბრის ნომერშია მოთავსებული.

რუსის პროფესორი ახასიათებს ახალგაზდა ბელეტრისტს ბლასკო იბანიესს, „რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელის“.

აქამდე ახალგაზდა რომანისტს, წვრილ ნაწარმოებთა გარდა, ოთხი დიდი რომანი გამოუქვეყნებია, დიდის ხელოვნებით დაწერილი. პირველს „ფორთოხალთა შორის“ ჰქვია; იგი ზნე-ჩვეულების რომანიც არის და სიყვარულზედაც აგებული. ერთის მხრით რომანში აწერილია სიყვარული ძველ არისტოკრატიულ გვარის წარმომადგენელის მშვენიერ მსახიობ ქალისადმი, რომელსაც ბევრი გამოეცადა ამ ცხოვრებაში, სხვათა შორის, სიყვარულიც, და რომელიც ბევრს ჰყვარებოდა; მეორეს მხრივ, დიდის ხელოვნებით დასურათებულია ცხოვრება და საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი. იბანიესი ამ რომანში შესანიშნავი ფსიხოლოგიც არის და ზნე-ჩვეულების აღმწერიც.

ახალგაზდა მსახიობის ხასიათი შესანიშნავად არის მოსაზრებული და ასრულებულიც. ლეონორა ადრე გაიტაცა ცხოვრებამ, გულუბრყვილოდ, უანგარიშოდ ეძლეოდა იგი ამ გატაცებას და მოტყუებული და დაქანცული დაბრუნდა თავის სამშობლოში. აქ იგი შეხვდა ახალგაზდა არისტოკრატს, კონსერვატორების პარტიის მემკვიდრეობით მეთაურს რაფაელს და მათ შორის შეუმჩნევლად რომანი იწყება. ახალგაზდა არისტოკრატი შეიყვარებს ლეონორას და, რადგან მთელი მისი წრე აღშფოთებული და შეძრწუნებულია ასეთის საქციელით, შეყვარებულები ვალენსიაში გადასახლდებიან. რაფაელს უკან დაედევნა ერთგული მსახური და მეგობარი, რომელიც იმდენ გავლენას იქონიებს შეყვარებულ არისტოკრატზე, რომ თავს ანებებს ლეონორას და დამამცირებელ გამოსათხოვარ წერილს სწერს.

გავიდა რვა წელიწადი. რაფაელი უკვე პარლამენტის წევრია, მჭერმეტყველებით განთქმული და ძველის წეს-წყობილების საიმედო ბურჯად მიჩნეული; მას ბრწყინვალე კარიერა მოელის.

ლეონორა ამ დროს სახელგანთქმული ოპერის მომღერალია. მადრიდში გზად გავლის დროს მსახიობი ქალი გაზეთებიდან შეიტყობს, რომ იმ დღეს წინანდელი მისი საყვარელი ილაპარაკებს პარლამენტში, და ესეც მიდის სხდომაზედ დასასწრებლად.

რაფაელს პასუხი უნდა გაეცა გამოცდილ მებრძოლ რესპუბლიკელ ორატორისათვის, რომელიც მკაცრად ჰკიცხავდა აუარებელსა და უნაყოფო ხარჯს სამღვდელოებასა და სამეფო სასახლეზე. რესპუბლიკელის სიტყვას საფუძვლად ჰქონდა უტყუარი ცნობები და ციფრები. მთავრობის მხრივ რაფაელმა გასცა პასუხი რესპუბლიკელ დეპუტატს; იგი ამტკიცებდა, რომ კათოლიციზმი იფარავს ესპანიას პოლიტიკურად დანგრევისაგან, რომ ის არის ერის დიდების, თავისუფლების და კეთილ-დღეობის თავდები, რომ მხოლოდ სარწმუნოებასა და მონარქიას შეუძლია უზრუნველ ჰყოს ზნეობისა და ოჯახის სიწმინდე. ერთის სიტყვით, რაფაელმა წარმოსთქვა ის პატეტიური მაგრამ უშინაარსო სიტყვა, რომელიც ყოველ წელს გაისმის ხოლმე ესპანიის პარლამენტის დარბაზში კონსერვატორების წარმომადგენელთაგან.

რაფაელი რომ პარლამენტიდგან გამოდიოდა, ლეონორას შეხვდა. მსახიობმა თავის ეტლში მიიწვია იგი, წინანდელ სატრფოს მოულოდნელმა ნახვამ და სიახლოვემ ძველი გრძნობა გაუღვიძეს რაფაელს—დაიწყო თავის მართლება და ისევ თანაგრძნობა სთხოვა. მაგრამ ლეონორა შეუდრეკელი იყო; გულგრილად და დაცინვით უგდებდა ყურს რაფაელს და ბოლოს გამოუცხადა, რომ წარსულის დაბრუნება შეუძლებელია—ჩვენ შორის სიყვარული, შენგან შეუბრალებლად მოკლულიო. ლეონორასაგან მოტოვებულმა რაფაელმა პირველად იგრძნო თავის ცხოვრების სიცარიელე და სიმწარე.

შესანიშნავის ხელოვნებით არის დასურათებული შეყვარებულები და მათი ფსიხოლოგია, მაგრამ ამ რომანის ღირსება ამითი არ თავდება—ამ ნაწარმოების საშუალებით თქვენ ეცნობით „ყველა საზოგადოებრივ წრეების ურთიერთ დამოკიდებულებას, დაბალ კლასების ექსპლოატაციას მაღლების მიერ, ფარისევლურ პირმოთნე მტაცებელ სარწმუნოებას ამ მაღალ კლასებისას. თქვენ წინ არის მთელი წყება ფიგურებისა, რომელნიც გაცებთ თავის სინამდვილით, მთელი წყება ბუნების სურათებისა, რომელნიც აღსავსენი არიან სამხრეთ მზის ბრწყინვალებით, მთვარიან ღამის შუქით, აყვავებულ ფორთოხლის სუნით, ზღვის სუნთქვით, გაზაფხულის დილის სიგრილით... რომანისტს ისევე ადვილად შეჰყავხართ ამ უცნობ სიმშვენიერეში, როგორც ადვილად გაცნობთ პარტიების ბრძოლას, საპარლამენტო ინტრიგებსა და ნიჭიერ და სიმპატიურ ერის (ესპანელების) სახელმწიფო ორგანიზაციის უკურნებელ სისუსტეს“.

არა ნაკლების ინტერესით და ხელოვნებით არის დაწერილი უკანასკნელი რომანი იბანიესისა „საკათედრო ტაძარი“ ტოლედოსა. ტოლედოს ტაძარი უშესანიშნავესი ნაშთია ესპანიის ისტორიულ წარსულისა, მას დიდი ადგილი აქვს ესპანიის ხალხის ცხოვრებაში.

იბანიესი პირველი რომანისტია, რომ ასეთ დაწესებულების შინაგან ცხოვრებას შეეხო. გარდა შესანიშნავის ხელოვნებისა ავტორმა გამოიჩინა აქ ღრმა ფილოსოფიურ-ისტორიული შეხედულებაც; „იგი ჩაჰფიქრებია თავის სამშობლოს დაცემის მიზეზებს და მისი შეხედულებით, მთავარი მიზეზი კლერიკალიზმის გაბატონებაა... წიგნი აღსავსეა შესანიშნავ ისტორიულ და ფილოსოფიურ მსჯელობებით და გამოყვანილია მთელი წყება სინამდვილიდან ამოღებულ პირებისა...“.

იბანიესი დიდ სამხატვრო ნიჭთან ერთად გაბედული და მტკიცე მქადაგებელია პროგრესისა და დემოკრატიულ აზრებისა. მისი ნაწერები ღრმად ხვდებიან გულსაც, სულსაც და გონებასაც, და მისი მთარგმნელი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ ღარიბ ლიტერატურასა და ნაკლებად განვითარებულ მკითხველ საზოგადოებას.

ვიმეორებ, ენის შესწავლას ისე დიდი შრომა არ სჭირდება, რომ შრომის გულწრფელად მსურველი ადვილად ვერ მოერიოს. იბანიესი მხოლოდ ერთი მწერალია იმ მრავალთა შორის, რომელის გაცნობა დიდათ სასარგებლო იქნება ჩვენის მკითხველისათვის.

W.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების კრება.

5 ნოემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზი გაიჭედა საზოგადოებით, რომლის ყურადღება შესვლისათანავე მიიქცია კედელზე ჩამოკიდებულმა ყვავილთა ხვეულებით მორთულმა დიდმა სურათმა. ეს იყო სურათი განსვენებულის ს. ბ. თოფურიასი, რომლის ხსოვნის პატივსაცემლად ადგილობრივმა სამკურნალო საზოგადოებამ მოახდინა კრება. კრებას დაესწრო 25, ე. ი. თითქმის ყველა ქუთათური ექიმი. კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ, გუბერნიის ექიმმა ბ-ნმა სერგეენკომ, მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და გააცნო დამსწრეთ კრების საგანი და აღნიშნა ს. ბ. თოფურიას საზოგადოებრივი მნიშვნელობა. შემდეგ სიტყვა წაიკითხა ექიმმა ტერტეროვმა და დაგვიხასიათა განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა. მშვენიერი სიტყვა წაიკითხა ექიმმა დ. ა. ნაზაროვმა, რომელიც განსვენებულის ამხანაგი ყოფილა ბავშვობიდანვე და ბევრი რამ სცოდნია იმის საზოგადო თუ კერძო ცხოვრებიდან: როგორ ებრძოდა განსვენებული ბავშობის დროს სიღარიბეს, როგორ გაიკაფა გზა სწავლისაკენ, როგორ დასნეულდა, როგორ ებრძოდა თავის სენს და მთელი 20 წლის განმავლობაში დამორჩილებული ჰყავდა, რამდენი იშრომა თავის საავადმყოფოს დასაარსებლად და სამაგალითოდ მოსაწყობად და ბოლოს როგორ მოუღო ბოლო უწყალო სიკვდილმა. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ექიმმა გ. ი. გოკიელოვმა, რომელმაც მოკლედ, მაგრამ ბრძნობიერ სიტყვებით დაგვისურათა განსვენებულის მოღვაწეობის საზოგადო მიმოხილვა.

აი, რა სთქვა, სხვათა შორის, ბ-ნმა გოკიელოვმა: „ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ ასე მალე, ასე მოულოდნელად დავკარგავდით ჩვენს სამსონს, ასეთს მხნეს, შრომის მოყვარეს, საქმეზე თავდადებულს სასარგებლო კაცს და ყოველის მხრით შემკულს ადამიანს. იმის უდროვოდ გარდაცვალების ამბავი მეხივით თავს დაეცა ქალაქის მცხოვრებთ, მთელს გუბერნიას და მოეფინა ძლიერ შორს კავკასიის საზღვრებს იქითაც. იმის ცხედარს რომ მოასვენებდნენ, როგორც იმის საავადმყოფოსა და ეკლესიაში, ისე ქუჩაზე გლოვის ზარი იდგა, ყველანი ცრემლებად იღვრებოდნენ, გულამოსკვნით სტიროდნენ. ყველა გამსჭვალულიყო ღრმა მწუხარებით მძიმე დანაკლისის გამო, საავადმყოფოში მიეჩქარებოდა, რომ დაეტირა უდროვოდ დაკარგული სამსონი. არც ერთს ქუთათურ მოხუცს არ ახსოვს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის გარდა ისე გულმოდგინედ ეტიროთ ვინმე, როგორც ჩვენი სამსონი, ეს მართლაც ღირსეული შვილი თავის სამშობლოსი. და მართლაც, როგორ არ უნდა იტიროს და არ იწუხაროს მთელმა ხალხმა: დაჰკარგა ისეთი კაცი, რომელმაც ერთმა შეჰქმნა ის, რაც ვერ მოუხერხებია მთელ ქალაქის თვითმმართველობას თავის არსებობის ამდენი ხნის განმავლობაში: მან დააარსა სამაგალითო საავადმყოფო, ეს ყოველ ქალაქისათვის საკეთილო და სასარგებლო დაწესებულება. იმის საავადმყოფოში აუარებელი ავადმყოფი იკურნებოდა. მერმე რამდენი ღარიბი ავადმყოფი მუქთად სარგებლობდა იმის საექიმო დახმარებით, ამას ნათლად დაამტკიცებს თვითეული აქ მყოფი, საავადმყოფოს 12 წლის მოქმედების ანგარიში და ბოლოს თვით ქალაქის თვითმმართველობა. დიახ, განსვენებულმა აარჩია მედიცინა, ეს კაცობრიობისათვის ფრიად კეთილის მყოფელი მეცნიერება, და თავის სპეციალურ საგნის, თავის ძვირფას საქმის მთელი გულით მოყვარულმა ჩვენმა სამსონმა ნათლად დაამტკიცა, რომ ექიმის მოღვაწეობას რეალურ სარგებლობის მხრივ ვერავითარი სხვა პროფესია ვერ შეედრება. სამსონისათვის საავადმყოფო იყო საყვარელი შვილი. პირველად ეს საავადმყოფო პატარა იყო, მაგრამ სამსონის შრომის, შესანიშნავის მხნეობისა და მზრუნველობის წყალობით თანდათან გაიზარდა და ამ ჟამად შეიძლება ვუწოდოთ სამაგალითო არამც თუ კავკასიაში, მთელს რუსეთშიაც. განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ სასარგებლო საზოგადო საქმეში და სწირავდა მას მთელს თავისუფალ დროს. ყველგან შეჰქონდა ცოცხალი ნაკადული, მალე უახლოვდებოდა ამხანაგებს, როგორც მოხუცთ, ისე ახალგაზდებს, და თავის კეთილისა და პატიოსან ხასიათითა და მგრძნობიარე გულით დაიმსახურა ყველას თანაგრძნობა. დასასრულს ვიტყვი: დაუვიწყარს, ძვირფას სამსონს ბედმა არგუნა გარდაცვალებულიყო კეთილ, პატიოსან და გულმოწყალე კაცად, ნიჭიერ ექიმად, მრავალტანჯულ მოღვაწედ და სამაგალითო მუშაკად. დღეს, ყველა ამან ანუგეშოს მისი ჭირისუფალნი, ნათესავნი, მახლობელი თანამოსამსახურენი, ნაცნობნი, ამხანაგნი და ყველა ისინი, რომელთაც, თუმცა არა ისე დიდხანს, მაგრამ თავგანწირულად ემსახურებოდა, და რომელმაც დაგვიტოვა თავისი საყვარელი საავადმყოფო.“

დონ-ვალიანი

პრესსა

„მის. ობოზრ.“ ღაღადებს, მართლმადიდებლობისაგან განდგომილნი მწვალებლები სულაც არ არიან შევიწროებულნი რუსეთშიო. ეს ორგანო იმას უარჰყოფს, რაც დღესავით ნათელია, რასაც მთელი ქვეყანა ჰხედავს. ისე დღე არ გაივლის, რუსეთის გაზეთებში ცნობები არ იყოს დაბეჭდილი, რომ ამა და ამ ადგილას პოლიცია შეუვარდა სახლში სალოცავად შეკრებილ მწვალებლებს, ოქმი შეუყენა და სამართალში მისცაო. დღესაც „ს.-პეტ. ვედ.“-ში ერთი საოცარი ამბავია მოთხრობილი იმის შესახებ, რომ სამხრეთ რუსეთში ერთ ქალაქში სტაროობრიადცებმა ისურვეს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღის აღნიშნვა ლოცვის გამართვით და ზარი დაჰკრეს ხალხის შესაკრებად. იმ წამსვე პოლიცია გამოცხადდა, აუკრძალა სტაროობრიადცებს ზარის რეკვა და ოქმი შეუყენაო.

„მისიონ. ობოზრ.“ განზრახ თვალს ჰხუჭავს და თითქოს ვერ ჰხედავს ამ აშკარა შევიწროებას. ამ ორგანომ განსხვავებულ-ვერაგული მსჯელობის გზა აირჩია თავისი აზრის დასამტკიცებლად. მწვალებლები რომ შევიწროებულნი არ არიან იქიდან სჩანსო,—ამბობს „მის. ობოზრ.“,—რომ ისინი ყუ[illegible] თავის სამლოცველოებს; განსაკუთრებულ ეკლესიების აშენებაც არ უნდათ, სადაც შეიკრიბებიან, მათი სამლოცველოც იქ არისო. მართლმადიდებლები უფრო შევიწროებულნი არიან. ბევრი უნდა ილოდინონ, დიდის გაჭირვებით უნდა შეკრიბონ ფული ეკლესიის ასაშენებლად, ბევრი დაწესებულება უნდა შემოიარონ ნება-რთვის ასაღებადაო. მწვალებლების პროპაგანდისტები, მათი სჯულის გამავრცელებლები ყველგან დადიან, კრებებს ჰმართავენ და ახალ მიმდევართ ჰპოულობენ, მართლმადიდებელნი კი ამას მოკლებულნი არიანო.

მკითხველი ნათლად ჰხედავს, როგორ თვალთმაქცურადაა ამ სიტყვებში ჭეშმარიტება გადამახინჯებული. სხაპა-სხუპით ლაპარაკი, აჭრელებული მოთხრობა მწვალებლების მოქმედებისა თითქო ამ ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ამტკიცებს და იმაზე კრინტიც არ არის დაძრული, თუ რა ძვირად უჯდებათ მწვალებლებს ეს მოქმედება, რამდენი დაბრკოლება უნდა გამოევლოთ, რამდენი მწვალებელი დაისაჯა დაპატიმრება-დაჯარიმებით და რამდენი ისჯება ყოველ-დღე.

„ს.-პეტ. ვედ.“ სამართლიანად პასუხს აძლევს „მის. ობოზრ.“-ს თვალთმაქცურ მსჯელობას. მწვალებლების ენერგიული მოქმედება იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი შევიწროებულნი არ არიან, არამედ მოწმობს იმათ პირად მხნეობას, მედგარ ენერგიას, რომელსაც ვერაფერი დაბრკოლება ვერ სძლევს,—იმას მოწმობს, რომ მათი მოძღვრება გარეგნულ-ფორმალურ დოგმით, ერთხელა და სამუდამოდ უკრიტიკოდ გადაჭრილ მრწამსით არ არის შევიწროებულიო. დაბადებიდანვე სიცოცხლე მოსდგამს და მიტომ მისი შეზღუდვა დაბრკოლება—მოსპობას არ ნიშნავსო.

მართლაც საოცარია „მის. ობოზრ.“-ს მსჯელობა. იგი იმას ჰგავს, კაცი რომ ამტკიცებდეს, რუსეთის ჯარი სულაც არ ებრძვის, არ ეწინააღმდეგება იაპონიისას შორეულ აღმოსავლეთშიო, და ამ თავის უცნაურ აზრის დასამტკიცებლად ის გარემოება მოჰყავდეს, რომ იაპონელები მხნედ მოქმედებენ, ირჩევენ და ამაგრებენ თავის პოზიციებს, მრავალ ადგილას ჯარი და ბატარეები ჰყავთ დაყენებული, თავისუფლად მოქმედებენ თავისი სურვილისამებრო...

⁂

გაზ. „კიევ. ოტკ.“ აღძრა საკითხი ჟურნალისტების, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა კრებების შესახებ. გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ ამგვარი კრებების გამართვა გააცხოველებს, ელფერს შესძენს პრესსას და გააუმჯობესებს იმის მდგომარეობასაო.

ყველამ შეიგნო დღეს,—ამბობს „კიევ. ოტკ.“,—რომ პრესსა დიდი და საჭირო ძალაა; ყველას ესმის, რომ იგი საზოგადოებრივი აზრის გამომთქმელი, მღაღადებელია და ყველასთვის აშკარაა, რომ პრესსა დღეს მეტად შევიწროებულია არა მარტო ცენზურისაგან, არამედ ადგილობრივ ადმინისტრაციისაგანაცაო. ცენზურისათვის დღეს გამორკვეული კანონი არ არსებობს, იგი უმრავლესად პირად შეხედულებით ხელმძღვანელობს. ამას გარდა ხშირად მომხდარა, რომ ცენზურისაგან ნება-დართული წერილები არ მოსწონებია ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც თავის მხრივ წინააღმდეგობა გაუწევია მისთვის არა-სასიამოვნო ორგანოსათვის და შეუვიწროებია კიდევაც, რადგან ძალა დღეს ადმინისტრაციის ხელშია.

გაზეთის აზრით, ყველა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხების ერთობით განსახილველად საჭიროა მოწვეულ იქნას ჟურნალისტების კრება, რადგან განსახილველი საგანი პრესსის უსაჭიროეს საჭიროებას წარმოადგენს. გარდა ამისა ჟურნალისტების ერთობა სასიკეთოდ დაეტყობა მათ საერთო საქმეს, მეტ ზნეობრივ და მატერიალურ ძალას შესძენს და ამ ასპარეზზე მუშაკთა შორის მტკიცე კავშირს შეჰქმნისო.

თეატრი

ქართული დრამა („იუდითი“, ტრაგედია ჯაკომეტისა, 10 ნოემბერი). შემძრწუნებელი და სასოწარკვეთილი ერი ისრაელისა ჰკოდებს და სტირის: ასურელთ უძლეველი სარდალი თავის ჯარით კარს შემორტყმია მას და გამუსვრას უქადის. სულმოკლენი თხოულობენ უფროსებისაგან, რომ მტერს კარი გაუღონ და დანებდნენ, უფრო სულგრძელნი და ღვთის იმედით გამხნევებულნი ხალხს სიმტკიცეს ურჩევენ —სამშობლოს სიყვარულისა და ერთად ერთ ნამდვილ ღვთაების გულისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ეს სცენა მეტად სუსტად ჩაატარეს ჩვენმა მსახიობებმა: სცენაზე არც ხალხი იყო, ვერც სასოწარკვეთილებას ხედავდით და ვერც სარწმუნოებით და სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებულთ და გატაცებულთ; მხოლოდ ბ. ივინიძე, ებრაელთ მღვდელთ მთავრის როლის აღმასრულებელი, შესაფერისად ჰქუხდა, როცა სულ-მოკლეთ ჰკიცხავდა და ღმერთს აგონებდა; სამაგიეროდ იქ, სადაც სასოების, ღმობიერ ღრმა რწმენის გამოხატვა იყო საჭირო, სუსტობდა, ხმა არ ემორჩილებოდა.

ასეთ უფერულ ფონზე იუდითი-ჩხეიძე მშვენიერი სანახავი იყო, მაგრამ იგივე ფონი ხშირად მის თამაშსაც უფერულებდა; ამიტომაც იყო, რომ ჩხეიძის ქალის თამაში ზოგჯერ იმაზე ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე სხვა უკეთეს პირობებში შეეძლო; ეს ითქმის განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაზე, როცა გამარჯვებით გახარებული იუდითა უბრუნდება თავის ხალხს და ურიგდება იმათ, ვინც ჰკიცხავდა და ნამდვილ ვაჟკაცობას ვერ იჩენდა—ყველა გარეშე მდგომნი, უტყვნი და სიტყვაიერნი, ისე უხერხულად იქცეოდნენ, რომ საუკეთესოდ შესრულებული მომენტი შესაფერისის ძლიერებით ვერ იგრძნო მაყურებელმა.

სამაგიეროდ მეოთხე მოქმედებაში ჩხეიძის ქალი ვერ იდგა თავის როლის სიმაღლეზე: საშინელი მომენტია, როცა იუდითმა ნატვრითი დიდი საქმე სისრულეში უნდა მოიყვანოს—მრისხანე და უძლეველ ოლოფერნეს თავი მოსჭრას; საშინელ მომენტის საშინლება ვერ აგრძნობინა ჩხეიძის ქალმა მაყურებელს, გამოთქმას ძალა და სიღრმე აკლდა.

გუნია კარგი ოლოფერნე იყო: მისი ხმა სჭექდა და გრგვინავდა, ისე, როგორც ეს მრისხანე და უძლეველ ასურელ სარდალს შეეფერებოდა; როლიც კარგად იცოდა და სრულიად კმაყოფილიც გამოვიდოდით დარბაზიდან, რომ ერთი ახირებული ჩვეულება არ ჰქონდეს ჩვენ არტისტს: სიტყვის და ბოლო ასოს გამოცალკევება და რაღაც თავისებურის კილოთი გამოთქმა; ქართულ უხმო ასოს ისე ამბობს გუნია, თითქოს მას კიდევ ნახევარ ხმოვანი მოსდევდეს, როგორც ზოგ სომხურ სიტყვაშია, და ცუდ შთაბეჭდილებასაც ახდენს მაყურებლის სმენაზე.

სვიმონიძე კარგი ოზია იყო, მეომარი გარეგნობითა მიხვრა-მოხვრით და ლაპარაკის კილოთი, როლიც კარგად იცოდა.

გაბუნიას ქალს თავისი როლი არ ჰქონდა, მაგრამ მეტ წილად შეგნებულად და გრძნობით ასრულებდა მას, თუმცა, სამწუხაროდ როლი არ იცოდა, რაც სრულიად არ სწყვეტს ნიჭიერ მსახიობს.

სცენის მოწყობილობა და დეკორაციები შეუფერებელი იყო. სახაზინო სცენა ამ მხრივ ღარიბი არ არის და თუ მაინც ქართული წარმოდგენა ცუდათ არის მოწყობილი, პირველი ბრალი, რასაკვირველია, რეჟისორს ედება, მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რეჟისორი აქ არაფერს შუაშია: თეატრის ადმინისტრაცია არ იძლევა საჭირო მასალას და ნუ თუ ამხანაგობა ისეთის პირობით შეეკრა ადმინისტრაციას, რომ ძალას ვერ დაატანს ასეთ საქმეში? ი.

ქუთაისი. 6 ნოემბერს ქართულ სცენის მოყვარეთ გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა ჩვენის თეატრის დამაარსებლის გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შესრულების გამო. წარმოადგინეს იმისი ოთხ-მოქმედებიანი კომედია „გაყრა“. წარმოდგენის დაწყებამდის გაიმართა აპოთეოზი: სცენაზე გამოვიდა იდ. მ. ნიქოვანი, რომელმაც გრძლად გააცნო საზოგადოებას განსვენებულის გ. ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა; შემდეგ ყვავილებით შემკულ გ. ერისთავის სურათის გარშემო თავი მოიყარეს სცენის მოყვარეებმა და იაფ-ფასიან წარმოდგენების მოთავეებმა. ქ-ნმა ნ. რ. გიგაურის ასულმა წაიკითხა ევდოშვილის ლექსი; შემდეგ ცახელის ლექსი წაიკითხა გ. ა. ბურჯანაძემ. ეს ლექსები ტფილისშიაც იყო წაკითხული სახალხო წარმოდგენის დროს. ლექსების წაკითხვის შემდეგ სურათი შეამკეს ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებულ გვირგვინებით. შემდეგ წარმოადგინეს კომედია, რომელმაც საზოგადოდ კარგად ჩაიარა. როგორც არა ერთხელ, ეხლაც ბ-ნმა შრომელი ავეტიქა სომხის როლს, რობაქიძე—ანდუყაფარისას, ნიკოლაიშვილი—ბერამისას და სხ. მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია ქ-ნმა მ. ვ. ნიქოვაძისამ ავეტიქას მეუღლის როლში. იშვიათად შეგხვდებიათ, რომ, გარდა ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მოხუც სომხის ქალის როლი ვისმე ისე ნიჭიერად შეესრულებინოს, რისთვისაც დაუსრულებელ ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ძლიერ სასიამოვნოა, რომ ქ-ნს ნიქოვაძისას ისევ დაუწყია სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. როგორც გვითხრეს, წინად თურმე ხშირად თამაშობდა ასეთს წარმოდგენებში. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით.

7 ნოემბერს ქუთაისის დრამატიულმა დასმა ხელმეორედ წარმოადგინა ბარეტის „ახალი მოძღვრება“, თარგმანი ა. კანდელაკისა. ამ წარმოდგენისათვის ნერონის როლის შემსრულებლად მოწვეული იყო ბ-ნი კ. მესხი. ყველას ყურადღება ამ მსახიობისაკენ იყო მიქცეული, რომ შეედარებინათ მისი თამაში ბ-ნ გედევანოვის თამაშისათვის (პირველად ბ-ნი გედევანოვი ასრულებდა ნერონის როლს), და ჩვენც ამ მსახიობიდან დავიწყებთ. ბ-ნმა კ. მესხმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა წარმოდგენაში! თუ ბ-ნმა გედევანოვმა ნერონი დაგვიხატა დასუსტებულ, დაუძლურებულ მოხუცად, რომელიც სიარულის დროს ბავშვებს ებჯინებოდა მხარზე და ძლივს მიდაქ-დაქობდა, გ. მესხის მიერ წარმოდგენილი ნერონი ჯანსაღი, მოუტეხელი კაცი იყო, რომელიც გარბოდა და ბავშვებსაც წინ მიერეკებოდა; თუ ბ-ნ გედევანოვის ნერონს ყურს აკლდა და ამიტომ ხშირად ეკითხებოდა ყველას „ჰა? რაო?“, ბ-ნს მესხს ყურის დაკლება სრულიად არ ემჩნეოდა. მართალია, „ჰა? რაო?“-ს ისიც ხშირად ხმარობდა, მაგრამ ასე გეგონებოდათ, ტყუილად ამბობს ამას და არა სმენის დაკლებისათვისაო; პირველის ნერონი კოჭლი იყო, მეორისას ძლიერ მაგარი ფეხები ჰქონდა. ერთის სიტყვით—ბ-ნმა გედევანოვმა ერთის მხრისკენ გადააჭარბა და მთლად იდიოტად, სულელად დაგვიხატა ნერონი; ბ-ნმა მესხმა მეორე მხრისკენ გადასწია სასწორს და მხოლოდ სუსტის ხასიათისა და სასტიკის ნერონის სურათი მოგვცა. საზოგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენის აზრით, ბ-ნ გედევანოვის მიერ დახატული ნერონი უფრო ჰგავდა ისტორიულ ნერონს, ვიდრე გ. მესხისა. ბ-ნი მესხიშვილი ეხლაც ჩინებული რომის პრეფექტი მარკუსი იყო. ბ-ნს აწყურელს ბატონ-კაცური ქცევა აკლდა; თვალ-ტანადობით და ტანისამოსითაც სპარსელს უფრო ჰგავდა, ვიდრე რომაელ პატრიცის, მიხვრა-მოხვრა და კილო კი ნამეტანი ოხუნჯური ჰქონდა. ქ-ნმა დავითაშვილმა ეხლაც დიდის გრძნობით ითამაშა და ჩინებული მერცია დაგვიხატა. სუსტად შეასრულა ბ-ნმა გვარამაძემ ლიუციუსის როლი. ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ არ აცრემლებულიყო იმის გრძნობიერ თამაშის დანახვაზე. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. თეატრი ეხლაც გაჭედილი იყო საზოგადოებით.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ „სამარ. გაზ.“-ი გადმოგვცემს, რომ უფის გუბერნიაში, მენზელინის მაზრის საერობო დაწესებულების კრებაზე ხმოსანმა მაზუროვსკიმ განაცხადა, თუ რა ძნელ მდგომარეობაში არიან სახალხო სკოლების მასწავლებლები. მასწავლებელი ქალი ფომინა სამი პატარა წიგნაკის შენახვისათვის გადააყენესო,—სთქვა მაზუროვსკიმ,—მასწავლებელი ბარანოვი კი გადააყენეს სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ეჭვი შეიტანეს და არა-საიმედო კაცად დასახეს. ეს ეჭვი-კი ბოლოს უსაფუძვლო გამოდგა; ამის მოწმობა მისცა ბარანოვს სახელმწიფო სამართლო პალატის თავმჯდომარემ. მაგრამ ბარანოვი მაინც დაითხოვეს. სკოლამ დაჰკარგა საუკეთესო მასწავლებელი, რომელსაც სკოლასთან ბავშვებისათვის ჰქონდა მშვენიერად გამართული სახელოსნო, სამაგალითო საფუტკრე და ბაღი.

◆ არა ერთხელ აღუძრავთ საერობო დაწესებულებათ საკითხი იმის შესახებ, რომ უფასოდ მიეცეს იურიდიული რჩევა-დახმარება გლეხებს. ეხლა, როგორც „სპბ. ვედ.“-ი იუწყება, ეს საქმე ჩქარა საბოლოოდ უნდა გამოირკვეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ საქმის საჩაიებში მოწყობას ფიქრობენ, რომ რჩევა-დარიგება და ზოგიერთ სხვაგვარ შემწეობასაც აღმოუჩენენ ხოლმე უფასოდ გლეხებს.

◆ რუსეთის ცნობილი მწერალი ვლ. კოროლენკო პოლტავიდან პეტერბურგს წავიდა, სადაც დეკემბრამდის აპირებს დარჩენას. „კიევ. ოტკლ.“-ის გაუგონია, რომ კოროლენკო შუამდგომლობის აღძვრას აპირებს, რათა ნება მისცენ „რუსსკოე ბოგატსტვო“-ს დაბეჭდვამდის ცენზორის განუხილავად გამოცემისა.

◆ კიევში ცნობა მიუღიათ, რომ მთელი რუსეთის საქალაქო მმართველობათა წარმომადგენლების კრება შინაგან საქმეთა სამინისტროში პრინციპიალურად ნება-დართულია.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, კიშინევში ქალაქის სამხედრო საკრებულოში შეამოწმეს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე პუშკინი და სალდათად გასაყვანად სავარგისოდ იცნეს. პუშკინმა, როცა ტანთ ჩაიცვა, მივიდა საკრებულოს მაგიდასთან და გამოაცხადა, რომ ავათ ვარ და სალდათად არ ვვარგივარო. ამაზე თავმჯდომარემ მიუგო, რომ შეგიძლია იჩივლო, მანამდის კი სამსახურში მიღებულად ითვლებიო. მაშინ პუშკინმა გამოაცხადა, რომ მე ფიცი არ მწამს და სამსახურში ერთგულებაზე არ დავიფიცავო. საკრებულოს განკარგულებით პუშკინი მაშინვე დააპატიმრეს და ღარაჯებით გაჰგზავნეს კიშინევის სამაზრო სამხედრო უფროსთან.

◆ ადესის სამაზრო კრებაზე, როგორც „ოდეს. ნოვ.“-ი გადმოგვცემს, მეორედ გაირჩა სტაროობრიადცების დემენტი სიჩევის და პეტრე გურიევის საქმე. 2 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე ქალაქ მაიაკში გაისმა სტაროობრიადცების სამლოცველოს ზარის რეკა. როცა ბოქაულისაგან გაგზავნილი გოროდოვოები მივიდნენ ადგილზე, ზარებთან აღარავინ დახვდათ. სამლოცველოს სტაროსტამ პეტრე გურიევმა და მრევლის რწმუნებულმა დემენტი სიჩევმა გამოაცხადეს, რომ მთელი საზოგადოება რეკდა ზარებს ტახტის მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად, მხიარულების ნიშნადო. წინა-დღით კი ბოქაულმა ჩამოართვა იმათ ხელ-წერილი, რომ ზარი აღარ დაერეკათ. საერობო დაწესებულების უფროსმა პეტრე გურიევი და დემენტი სიჩევი 25 მანეთით დააჯარიმა და დაავალა, რომ ზარები, რომელიც სამლოცველოს ეზოში ჰკიდია, ჩამოეღოთ. პოლიციამ ოქმი შეაყენა და სასამართლოს გადასცა. სააპელაციო საჩივარში სტაროობრიადცებმა გამოაცხადეს, რომ იმათი ტაძარი მაიაკში 100 წელიწადია არსებობს და 1883 წლიდან კანონის გამოცემამდის ნება დართული იყო ზარების ხმარება.

ახლად აღმოჩენილი გრაფიტის მადნები

სოფ. ჩუმათელეთი მდებარეობს სურამიდან სამი ვერსის მანძილზე და თვით ის სიმდიდრით სავსე მთა-გორა, რომელიც კნ. ჩხეიძის საკუთრებას შეადგენს და იმყოფება ამავე საზოგადოებაში—6 ვერსის მანძილზე გაჭიმული. ვინც სურამში ყოფილა და დაკვირვებია, ის უეჭველად შეამჩნევდა სოფ. იტრაში*) ცარცს (მელი). ზოგიერთ აქაურ სომხებს მოუქცევიათ ყურადღება და, როგორც სასარგებლო საქონელი, გაჰქონდათ ბაზარზე. დროთა ვითარების შემდეგ მეტოქეობამ აქაც იჩინა თავი, რამაც ძლიერ დასწია ამ საქონლის ფასი. მას შემდეგ ხელი მიჰყვეს ერთნაირ თიხის ექსპლოატაციას, რომელიც როგორც ხარისხით, ისე სიმრავლით, ხელსაყრელი შეიქნა მრეწველობისათვის. თუმცა ამ ადგილებს ისეთი სიმდიდრის ნიმუშები ეტყობა, მაგრამ დღემდის არც ერთის სამთო ინჟენერის ყურადღება არ მიუქცევია ამ სიმდიდრეს.

ეხლა სურამიდან შვიდი ვერსის მანძილზე ახალი მადანიც აღმოჩნდა—გრაფიტი.

მთელ რუსეთის იმპერიაში გრაფიტის მადნები მხოლოდ ურალის ხეობაშია, სადაც გერმანელები კარჩაკეტილი მუშაობენ და წელიწადში ბაზარზე გააქვთ მხოლოდ 2,000 ფუთი. ფუთი ფასობს 3—6 მანეთამდე. სხვა ცნობებს და საზოგადოდ, მუშაობის წეს-რიგის ამბებს, რუსის ვერც ერთი ინჟენერი ვერ მოგაწვდის, რადგან არც ერთ რუსულ გამოცემაში ამ მადნის შესახებ სიტყვა არ არის ნათქვამი, თუმცა გრაფიტს, როგორც პირველ-ხარისხოვან საქონელს, მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი უჭირავს.

თვით ამ ადგილს, სადაც ეხლა საშინაო მადარობაა, ეწოდება ორ-ხევი. ორ ხევს არტყია შემდეგი სოფლები: ბიჯნისი, წაქვა და ლიხი. ორ-ხევი სივრცით 642,600 ოთხკუთხი საჟენია და იყოფება ორ ხეობად. ამ ადგილებში ხშირად შეხვდებით ნაძვს, ფიჭვს და მაღალ მაღალ ადგილების სხვა მცენარეებს. ჰაერი ბევრად უკეთესია, ვიდრე სურამში.

თვით გრაფიტი უთუოდ ყველას უნახავს. უბრალო კარანდაშებიც-კი გრაფიტისაგან კეთდება. ამისთვის გრაფიტს ფქვამენ იქვე, როგორც უბრალო ხორბალს. შემდეგ აქცევენ ტალახად აგორგოლებენ და ბოლოს ნარჩენებით კარანდაშებს გამოჰკვეთ. გრაფიტს ხმარობენ აგრეთვე საფერავად, სალებავად, ძვირფას სახატავ „ტუშების“ საკეთებლად. უმთავრესად-კი გრაფიტს ხმარობენ ისეთ ძნელ სადნობ ლითონების გამოსავსებად და სახის მისაცემად, როგორც, მაგალითად, რკინაა, სპილენძი, თითბერი და სხვა. ვსთქვათ, ქარხანაში უნდათ გააკეთონ ყუმბარის მსგავსი რკინის ბურთები. ამ შემთხვევაში იღებენ გრაფიტის ტალახს და აძლევენ ყუმბარის სახეს, მერე გადადუღებულ რკინას ასხამენ შიგ. როდესაც რკინა შედგება, ე. ი. გაცივდება და მიიღებს სიმაგრეს, კარს შემორტყმულ გრაფიტის ჭურჭელს გასტეხენ და დარჩება ყუმბარის მსგავსი საგანი საზოგადოდ გრაფიტი დიდ ხმარებაშია ქარხნებსა და სხვა-და-სხვა სატეხნიკო მრეწველობაში.

ჩუმათელეთის გრაფიტი ისე არ არის დედამიწაში ბუდედ მდებარე, როგორც, მაგალითად, ჭიათურის შავი-ქვა. როგორც აქაური გამოსაკვლევი მადაროები გვიმტკიცებს, ამ მადანს უსწორ-მასწორო მდებარეობა აქვს: ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები; ხშირად სისქე ორ არშინამდე ადის. შეჰხვდებით აგრეთვე დიდრონ სტეხ ქვებს.

ჯერ-ჯერობით სამი გამოსაკვლევი მადაროა გამართული და, როგორც ეს მადაროები გვიმტკიცებს, მადანი დაწოლილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მადნის სიმრავლე ხელ-საყრელია დასამუშავებლად და აქ ასჯერ უფრო მეტ საქონლის დამზადება შეიძლება, ვიდრე გერმანელები ურალში ამზადებენ. თვისებით აქაური გრაფიტი კარგია და ზოგიერთ შემთხვევებში უკეთესიც ურალის გრაფიტზე.

ალ. მოზობერიძე

წერილები

თელავი. 7 ნოემბერს სამხედრო უფროსთან გამოცხადნენ თელავის მაზრიდან ჯარის კაცად მიღებულნი 253 ახალგაზრდა, რომელნიც კენჭის ყრის შემდეგ დაითხოვეს თავ თავიანთ სახლებში. სახლში დათხოვნა აუკრძალეს მხოლოდ 7 კაცს, რომელნიც ქალაქში უწესოების მოხდენისათვის პირდაპირ სამხედრო მაზრის უფროსს გადასცეს. წელს თელავის მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაჰგზავნეს: სევასტოპოლსა, ალექსანდროპოლსა და მცირე ნაწილი ტფილისში. კიდევ კარგი, კახელები, როგორც წინა წლებში, შორს არ გაჰგზავნეს, თუმცა მათთვის სევასტოპოლიც შორია. მაგრამ სამაგიეროდ ქიზიყელებს ჰხვდათ წილად შორი ადგილები. სიღნაღის მაზრიდან ჯარში მიღებული 407 კაცი უნდა გამოცხადდეს თელავის მაზრის სამხედრო უფროსთან 15 ნოემბერს. წელს მათ გაგზავნიან: დუბნოში (ვოლინის გუბერნიაში) კურსკსა, ხარკოვსა, სევასტოპოლსა და გროზნაში. კასპიის იქაით მხარის ოლქში—თურქესტანსა და კუშკაში წელს არავის ჰგზავნიან. ჯარის კაცად მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა, ყველა იხდის სამხედრო ბეგარას და ამიტომ ისე არ აღარდებთ ეს გარემოება, როგორც ის, რომ უცხო ცივ და მათთვის აუტანელ ალაგას უხდებათ წასვლა და სამშობლოს მოშორება. ეს უფრო აღარდიანებთ და იძახიან, ნეტა ადგილობრივ გვახდევინებდნენ და თუნდა ერთიორად გვამსახურონ, არას ვინაღვლებდითო. ეს ნაღველი უფრო უორკეცდებათ მაშინ, როცა იგონებენ, რომ ბევრი მათი თანამემამულე, იქითკენ წა-

სული, დაავადმყოფებულა ან ველარ დაბრუნებულა. მართლაც არავისთვის დაფარული არ არის, რომ 1899 წლიდან, როცა ახალგაზრდათ სხვა და სხვა ადგილას დაუწყეს გზავნა, აქაურ ბუნებას შეჩვეულთ ვერ აიტანეს მრისხანე რუსეთის მკაცრი ბუნება და ამიტომ ბევრს აღარ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება, ბევრი ავადმყოფი და გაბერავებული დაბრუნდა. ამას გარდა ავადმყოფობისავე მიზეზით, დროებით' ვითომ მოსარჩენად, ექვსი თვით ან წლით ბევრს ანთავისუფლებენ ხოლმე, მაგრამ ავადმყოფობა ისე უჯდებათ ძვალსა და რბილში, რომ მათ შორის ძლიერ ცოტა იკურნება და ჯარში უკანვე ბრუნდება. მთელი წლის განმავლობაში თელავის სამხედრო საკრებულოს თითქმის ყოველ კვირა უხდება ასეთ პირთა შემოწმება. შორს ქვეყანაში წასვლა ოჯახიდანაც დიდ ხარჯს ითხოვს. ჯერ პირველში უნდა ყველაფრით მოამზადონ გასამგზავრებლათ და ფულიც უშოვონ სამგზავროდ. ახლა შემდეგ დრო-გამოშვებით უნდა უგზავნონ ფული ოჯახიდან, რომლითაც მუშა ხელის დაკლება და მისი ნივთიერად დახმარება საგრძნობლად აქვეითებს ისედაც წელში გატეხილ გლეხი კაცის ოჯახს.

დიმიტრაშვილი

სოფ. აკურა. 7 ნოემბერს ამ სოფლის მცხოვრებთ ყრილობა ჰქონდათ. განსახილველი საგანი მარტო ის იყო, როგორ დავიცვათ თავი ქურდობისაგანაო. სოფელს ამორჩეული ჰყავს 6 კაცი, რომელთაც ევალებათ სოფლის გამგეობა-პატრონობა. ეს ექვსი კაცი ფხას ვერ იჩენს, სოფელს ვერ უვლის. ქურდების დასჯაც-კი ვერ მოახერხა. ზოგი მათი ნათესავია, ზოგი ნაცნობი. 6 კაცი აირჩიეს განსაკუთრებით იმისათვის, რომ ითავონ და ქურდებს მსჯავრი დასდონ, როგორც ს. შალაურის და კალაურის მცხოვრებთ ჰქნეს. საზოგადოდ სოფლელთ ძრიელ მოსწონთ თავის სამართლით გასამართლება და არა თუ აკურაში, სხვაგანაც თურმე განუზრახავთ ესა. სწორედ შესაბრალისია სოფლელთა მდგომარეობა, ისეთს წყვდიადში იმყოფებიან. ცნობის მოყვარეობა-კი აქვთ და თუ ვინმე მოიხელეს, კითხვას კითხვაზე აძლევენ, ეს ასე რად არის, ან როგორ და რისთვის მოხდა ეს და თან თავისებურად დაასკვნიან. ამ სოფელში 5 საერობო დარაჯი ჩაუყენებიათ, სოფელმა სახლი, შეშა და ნავთი უნდა მისცესო. მცხოვრებთ ხარჯი მოსდით, მაგრამ არ იციან, რისთვის და რად არიან. შემოდგომაზე ყველგან და აკურაშიაც სამხედრო ურმების აღწერა იყო, ამაზედაც თავიანთი აზრი გამოუყვანიათ. ომის გამო ბევრი სალდათის ცოლშვილი დაობლებულა და ამ აწერილ ურმებით მათი ქვრივ-ობლები უნდა წამოასხან და სოფელს შეანახვინონო. თან მეკითხებოდნენ, მართალია თუ არაო. ომის ამბები ძრიელ ეინტერესებათ, უნდათ გაიგონ, როგორ მიდის საქმე, რა ხდება და ვინ სჯობნის, მაგრამ ამ დალოცვილ 1650 მცხოვრებიან სოფელში არავინაა, რომ გაზეთი მოსდიოდეს. ჩემ კითხვაზე,—განა მღვდელ ან მასწავლებელს რომ მიჰმართოთ, არ წაგიკითხავთ გაზეთს და ომის ამბებს, არ გიამბობთ მეთქი, მიპასუხეს—არც მღვდელს მოსდის გაზეთი ან ამის თავი სადა აქვს: დაავადმყოფდა, ჯვარ-საწერად ძლივს გამოდის, მასწავლებელი-კი არა გვყავს, სკოლა აღარა გვაქვსო. სახლი, მოსამსახურე და შეშა მოგვთხოვეს და ჩვენ ამისი თავი სადა გვაქვსო. ამაზე მეტი დაქვეითება-ღა იქნება, რომ ამოდენა სოფელს ერთი სკოლა ჰქონდა და ისიც, გაფართოვების მაგიერ, დაიკეტა. შარშან აკურელებმა ორი ოთახი ააშენეს (500 მანეთი დაუჯდათ) ჯარის-კაცთა დასაყენებლად.

დ—შვილი

ომის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

11 ნოემბერი

პარიზი, 10 ნოემბერი. „ტან"-ი ამბობს გულის ინციდენტის გამომძიებელ კომისიის შესახებ, რომ ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, მართალია თუ არა, რომ ინგლისმა ომის დაწყებამდის ფარულად ააშენა იაპონიისათვის 6 ნაღმიანი გემიო. გაზეთს საეჭვოდ მიაჩნია ცნობა, თითქო ერთი გემი უკვე იაპონიის წყლებშია, მეორე კი იქითკენ გამგზავრებულიყოსო.

ჩანსიამუტუნი, 10 ნოემბერი. უიჩიუძისკენ მიმავალმა ჯარმა გამოარკვია, რომ იაპონელები შემთხვევით თავს დაესხნენ რუსის ყაზახებს სინმინტინის ახლოს. აღმოაჩინეს, რომ იაპონიის ჯარის ერთი ნაწილი აღმოსავლეთისკენ მიდის, რადგან პოდპოლკოვნიკის ზაპოლსკის მზვერავებმა შეიტყეს, რომ იაპონელებმა ანშენსიანი დაიჭირეს.

ჩიფუ, 11 ნოემბერი. 9 ნოემბერს პორტ-არტურიდან ორი ნავი გამოვიდა, ერთში იჯდა 6 ინდოელი, მეორეში კი—42 ჩინელი და 14 ჩინელი ქალი. პირველი ნავი იაპონელთა ნაღმიანმა გემმა გააჩერა ხვანჩანცაოს ახლოს; ჩინელები და ინდოელები ნაპირზე გადაიყვანეს, ნავი კი დასწვეს. ჩინელი მეზღვაურები მეორე ნავით მოვიდნენ. დღეს საღამოს ინდოელები დაიჭირეს. მეორე ნავი მიასტაუსის კუნძულებთან გააჩერეს. იაპონელებმა ოთხჯერ მოიწადინეს ამ ნავსაც ისე მოქცეოდნენ, როგორც პირველს, მაგრამ ქალებმა კივილ-ჟივილი ასტეხეს და იაპონელებმა ნავს თავი დაანებეს. მოსულები ამბობენ, პორტ-არტურში ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში იერიში არ მომხდარა; ყუმბარებს ყოველ-დღე უშენენ იაპონელები. საზოგადო მდგომარეობა უცვლელად არისო. ჩინელთა სიტყვით, დალნიში ამას წინად ორი გემი მოვიდა ახალგაზრდა სალდათებით, რომელნიც შუა რიცხვით 19 წლისანი არიან. გემმა ექვს-დიუმიანი მორტირები მოიტანა. ნიუჩუანს ყოველ დღე გემები მოდის სალდათებით, რომელთაც დაუყოვნებლივ რკინის გზით ჰგზავნიან ჩრდილოეთისკენ. ნავთ-სადგურში ამ ჟამად 50-ზე მეტი სავაჭრო გემია.

ტოკიო, 10 ნოემბერი. „ცენტრალ ნიუს"-ის ცნობით, 7 ნოემბერს ღამით რუსებმა კონტრ-იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ სიმაგრეებზე, რომელიც კიკვანშანის მთის აღმოსავლეთით მდებარეობს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. 9 ნოემბერს საღამოს იაპონელებმა მიიტანეს იერიში რუსების ბანაკზე, რომელიც ბუძკუში იმყოფება, სინჩანგიდან ჩრდილოეთით. რუსებს მიუვიდათ მაშველი ჯარი და შეავიწროვეს იაპონელები, მაგრამ უკან დაიხიეს ჩჟინჟოლინისაკენ.

პორტ-საიდი, 10 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ი იტყობინება, რომ აქ საჩქარო სამზადისია, რადგან ბალტიის ესკადრის მოსვლას ელიან. ჰფიქრობენ, შეძლებისამებრ არხში ჩქარა გავლის შეძლება მისცენ ესკადრას. იაპონელთა აგენტები უეჭველია იყვნენ აქ. ხმა არის, იაპონიის რამდენიმე კრეისერი ადენის ახლოს იმყოფება, თუმცა ეს ცნობა ჯერ არ მტკიცდება.

ლონდონი, 11 ნოემბერი. აქ ძალიან ჰშიშობენ ინგლისელ ორთქლმავალ გემის „ინვერნეს"-ის ბედის შესახებ, რომელსაც იაპონიისათვის სამხედრო მასალა მიჰქონდა. გემი გამოვიდა ტაუნჩენზე-ორეგონეს ნავთსადგურიდან 3 ოქტომბერს, საქონლით დატვირთული; ტვირთი გემს კორეის ნავთსადგურებისათვის მიჰქონდა. ამის შემდეგ ორთქმავალ გემის შესახებ აღარაფერი ცნობები არ მოსულა. ჰშიშობენ, გემი რუსებმა ჩაიგდეს ხელში, რადგანაც გემმა უსათუოდ სუნგარის სრუტე გაიარაო. დასაზღვევმა პრემიამ ამის გამო ძალიან აიწია.

სან-ფრანცისკო, 11 ნოემბერი. საქონლის შემოტანა იაპონიაში განუწყვეტლივ მატულობს. იაპონელები საქონელს ერთობ მცირე ფასებში ჰყიდიან, რადგანაც უნდათ მეტ ფულს მოუყარონ თავი ომის საჭიროებისათვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

11 ნოემბერი

ლონდონი („რეიტერი"). ოკუს არმიასთან მყოფი კორესპონდენტი 9 ნოემბრიდან იუწყება: მე მგონია, იაპონელები შტურმით აიღებენ პორტ-არტურს, რადგან პოლიტიკური გარემოება აიძულებენ იაპონელებს დაუყოვნებლივ აიღონ ციხე-სიმაგრე, თუმცა ყოველ შემთხვევისათვის მზად არიან, რაც უნდა მოხდეს, თუნდაც ბალტიის ესკადრის მოსვლის შემდეგაც."

— დალნიში დიდი და მშვიდობიანი მოძრაობაა. იაპონელებმა აქ 10 ათის კაცისათვის საავადმყოფო დაამზადეს. ვემ-საშენებელი შეაკეთეს და ამ ჟამად სარგებლობენ კიდეც იმითი. ქუჩები სავსეა აუარებელის ურმებითა და ტრანსპორტებით. საზამთროდ დიდ-ძალ ტანთსაცმელსა, სურსათს და საომარ მასალას საჩქაროდ ეზიდებიან იაპონიიდგან.

პორტ-საიდი, 11 ნოემბერი („რეიტერი"). რუსის ესკადრას კანეიაში მოელიან 12 ნოემბერს დილით. ქაირში მყოფი რუსის კონსული და სუეცის არხის კომპანიის მოხელენი გავლენ ესკადრის შესახვედრად. რუსის ესკადრასა და სხვა გემებს შუა სადარაჯო გემებს ჩააყენებენ. ესკადრის წყალსა და სურსათს მისცემენ. ჯერ არ იციან, მისცემენ თუ არა ნახშირს.

ჩიფუ, 10 ნოემბერი („რეიტერი"). ჰფიქრობენ, რომ იაპონელები კიდევ მიიტანენ იერიშს ერლუნგშანის სიმაგრეზე და 203 მეტრის სიმაღლეებზე პორტ-არტურში. იაპონელებს დიდძალი ახალგაზდა ჯარის კაცები მოსდით მაშველად.

პორტ-საიდი, 11 ნოემბერი („რეიტერი"). ბალტიის ესკადრის პირველი ნაწილი გამოჩნდა კიდეც პორტ-საიდის წინ.

10 ნოემბერი.

სტამბოლი, 9 ნოემბერი. ვილესში აასამდე მაჰმადიანმა დაიჭირა სატელეგრაფო სადგური და სთხოვდა მთავარ ინსპექტორსა და ხვანთქარს ბოლგარელ კომიტეტების ძალ-მომრეობისაგან მფარველობას. მიზეზი ამ დემონსტრაციისა, როგორც ამბობენ, ამ ბოლო დროს მომხდარი მკვლელობანია. ვალიმ დაუყოვნებლივ გაჰგზავნა ვილესში ჟანდარმების რაზმები და ჯარი, რომლებმაც წესიერება აღადგინეს. გამოძიება სწარმოებს.

კოვნა, 10 ნოემბერი. უნტერ-ოფიცერმა გენჩენკომ დაინახა ებრაელი ბიჭი, რომელიც მდინარე ვილიაში იღრჩობოდა, ტან-გაუხდელად გადავარდა ხიდიდან წყალში, ჩაიყურყუმელავა, გამოათრია ბიჭი ნაპირზე და მოასულიერა.

ხრისტინოვკა, 10 ნოემბერი. ღამე სადგურზე სამგზავრო მატარებელს დაეჯახა სამანევრო მატარებელი. მოკლულია უფროსი კონდუქტორი და დაჭრილი—ორი კონდუქტორი. მგზავრთაგან არავინ დაშავებულა.

ბერლინი, 10 ნოემბერი („გოლოს"). ძლიერ დაზიანებულია სატელეგრაფო მავთულები გერმანიასა და ინგლისს შუა.

მადრიდი, 10 ნოემბერი. მეფემ მოაწერა ხელი კონონ-პროექტს ანარქისტთა პროპაგანდის მოსპობის შესახებ.

სტამბოლი, 9 ნოემბერი. შეთანხმებულ სახელმწიფოების ელჩებმა მიაქციეს პორტას ყურადღება იპეკის სანჯაყში საქმის გარემოებას და წინადადება წარმოადგინეს იმის შესახებ, რომ მაჰმადიანები ისევ წინანდელივით ატარებენ იარაღსო.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ ხელახლად მისწერა საბერძნეთის მთავრობას იმის თაობაზე, რომ საბერძნეთში რაზმების შედგენასა და მაკედონიაში იარაღის გზავნას განაკრძალებენ და სხვათრივაც ხელს უწყობენ ბერძნის რაზმებს, რომლებიც მაკედონიაში უწესოებას ახდენენო. ამავე დროს ოსმალეთის მთავრობამ დაადგინა, საბერძნეთის საზღვარზე მეტი სამხედრო ღონისძიება მიიღონო. დღეს ოსმალეთის წარმომადგენლებს საზღვარ გარედ ცირკულიარული დეპეშა გაუგზავნეს კრიტის საქმის შესახებ.

მოსკოვი, 10 ნოემბერი. 5 ნოემბერს ღამით სამარო-ზლატოუსტის რკინის გზაზე სადგურ მიასთან საფოსტო მატარებელს დაეჯახა საქონლის მატარებელი, რომელიც დიას სემაფორიდან გამოვიდა. მაშინისტს ეგონა, წასვლის ნიშანი მომცესო და მატარებელი დაძრა. საფოსტო მატარებელში მესამე კლასის ვაგონი დაიმტვრა; ამ ვაგონში დაჭრილი სალდათები ისხდნენ. ბაგაჟის ვაგონი დაზიანდა, ფოსტის ვაგონი მესამე კლასის ვაგონს დაეჯახა და შიგ გაიჭედა. მგზავრები ფანჯრებიდან გამოძვრნენ. სამი ან ოთხი კაცი ვაგონის ნამტვრევებს ქვეშ გარდაიცვალა. სულ ოცამდე კაცი მოკვდა და დაშავდა.—შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომავალ წლის 1 აპრილამდე გადასდვა საგუბერნიო კომიტეტების შრომის წარდგენა საგლეხო კანონმდებლობის გადასინჯვის შესახებ.

ჰელსინგფორსი, 10 ნოემბერი. უმაღლესის გრამოტით უმოწყალესად ებრძანა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს, უმაღლესის სახელით გახსნას ფინლანდიის საერთო წარმომადგენელთა მორიგი კრება, რომელიც 23 ნოემბრისათვისაა მოწვეული. გენერალ-გუბერნატორს უმაღლესად ნება მიეცა, მოქალაქეთა და გლეხთა წოდებიდან ტალმანები და ვიცე-ტალმანები დაანიშნოს სეიმში.

9 ნოემბერი

პეტერბურგი. უმაღლესი მადლობა გამოეცხადა ვარშავის გუბერნატორს მარტინოვს, სუვალკის გუბერნიის დროებით მმართველს პეტროკოვის გუბერნატორს არციმოვიჩს და ვიტებსკის გუბერნატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს ვიტებსკის ვიცე გუბერნატორს კლიუზნარევს წესიერების მშვენივრად დაცვისათვის ოქტომბრის თვეში იმ ადგილებში, სადაც ჯარების უმაღლესად დათვალიერება იყო.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გაზეთ „ნაშა ჟიზნ"-ს ცალკე ნომრების გაყიდვა აეკრძალოსო.

ბელგრადი. კამათის დროს პაშიჩმა განაცხადა: ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შესახებ საკითხი ევროპის სახელმწიფოთა შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. რადგან ავსტრიას ევროპის სახელმწიფოთა მინდობილობით უჭირავს ეს პროვინციები, სერბიას არ შეუძლია ამის შესახებ საკითხი აღძრას, რადგან ამის გადაწყვეტა არ შეუძლია. ამ საკითხის დედა აზრია—ბალკანეთი ბალკანელებისთვისაო და სახელმწიფოთა უშიშროებაც ამ პოლიტიკის მომხრეა. სერბიის საჭიროება მოითხოვს მშვიდობიანობა იქმნეს და ბალკანეთში „სტატუს კვო" დარჩეს და მხოლოდ ამ გზით შეუძლია სერბია ევროპას შეეთანხმოთ. სერბია ცდილობს მაკედონიაში მშვიდობიანობა შეიტანოს და იქ რეფორმების შემოღება გააადვილოს. ბოლგარიაც ჩვენი თანხმაა. საერთო ბედმა სერბია და ბოლგარია ერთმანეთს შეათანხმა და ამ დაახლოვების პირველი მცნება „სტატუს კვო"-ს დაცვაა. მოლაპარაკების განგრძობის შემდეგ აღმოჩნდა კრიტიკულ მდგომარეობის შესახებ რამდენიმე მუხლი, რომელიც ორსავე მხარეს საერთო საჭიროებას შეადგენს. ამ გვარ პოლიტიკის ბოლო ის იქნება, რომ ორსავე სახელმწიფოს ხალხს უფრო მჭიდრო კავშირი ჩამოუვარდება. რაც შეეხება მაკედონიას, ჯერ ადრეულად უნდა ჩავთვალოთ ამ საკითხის ძირითადად გადაწყვეტა. სანამ ამ საკითხის გადასაწყვეტად საშუალებას გამოვიგონებდეთ, საჭიროა ჯერ ამწუთ შევინახოთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	47,30
პარიზისაზე „	$37,52^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$6-7^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$89^{3}/_{8}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	$419^{3}/_{4}$
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	310
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად.. . .	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$90^{3}/_{4}$
$4^{1}/_{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფუ ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	$87^{3}/_{8}$
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible]ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტევოსისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-უმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ა. ყაზბეგის თხზულება არ გაეგზავნათ იმათ, ვისაც წლიური ფული მარტო გაზ. „ცნობის ფურცლის" 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" 11 მ. 55 კ. არა ჰქონდათ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 ს წოლია შინაგან, ნერვებისა, ქირურგიული დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშო ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრო კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სა კურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვი და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
სურათებით
გამოიცემა თვეში ორჯელ ყმაწვილთათვის
[illegible]
წლიურად ხელმოწერა 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ხელმოწერის ფასი: [illegible] 5 მ. [illegible] 3 მ.
[illegible]
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „На



СѢДЕЛЬН,
СПЕЦIЯЛЬН.
Безъ конкуренцiи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ალექსეევისა, № 92, [illegible] ნიის ახლოს. (Г.—176—8)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოგიე ბაზანასი	მ.	კ.
	—	1
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	5
ბნელი, მოთხრობა—შელანისა	—	2
ალ. ყაზბეგის I. ტომი	1	50
II და III ტომი თითო .	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო .	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . .	—	80
ითელის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი . . .	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	3
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში .	—	15
დვინის დაცემა, პროფეს. ც. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . .	—	2
ფიზიოლოგია—ფოსტერისა . .	—	2
ხუთი რაფიელისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯვანშიერისა	1	

ექიმის შინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციული აბები"
სიმსუქნის წინააღმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.
✦ კოლოფები წითელ ფერის ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—12)

თელავში გამოსაჩენ ადგილზე ისყიდება ახლად აშენებული სამ-სართულიანი სახლი ფლიგელით დახურული ცინკ-წასმული თუნუქით. დაწვრილებითი ცნობებისათვის და ფასისათვის მიჰმართეთ: Москва, поварская уч., домъ Суходольскаго квартира 12, დიმიტრი ივანეს ძე როსტომოვს.
(4—375—2)

Дозволено цензурою, 11 ноября 1904 г.